# პიონერი



1927 სახელმწიფო გამომცემლობა № 2

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# შინაარსი:


გვ.

1. შეშა მოიტანეს—ე. პოლუმორდვინოვის . . . . . . . . . . 2
2. ცხრა იანვარი—ლექსი—**გლიორის** . . . . . . . . . . . . . 4
3. სილვერი—**ე. ზოლას** . . . . . . . . . . . . . . . . . . . 5
4. სისხლიანი კვირა—პატარა პოემა— **გ. სიოშვილის** . . . . . . . . 9
5. როგორ უნდა ჩამოვაყალიბოთ რგოლის და კოლექტივის მუშაობა—**ლენსკის** . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 10
6. პიონერი და ბრძოლა ახალი სოფლისათვის—**ვ. იმედაძის** . . . . . . 12
7. რედაქციისაგან—ჟურნალ „პიონერი"-ს და „ნაკადული"-ს გავრცელების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 14
8. ტფილისის მე-18 შრომის სკოლის 2 ჯგუფის მოწაფეებს და ყველა სხვებს, ვინც ჩემ წერილს გამოეხმაურება და წერილი მომწერა—**მარიამ ორახელაშვილის** . . . . . . . . . . . . . . . 14
9. როგორ უნდა მოეწყოს საკინძავი სახელოსნო . . . . . . . . . . 15
10. საუბარი ბავშ.-კორესპონდენტებთან . . . . . . . . . . . . 17
11. მუშაობა სკოლაში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 16
12. ბავშთა შემოქმედება: **აჭარელ სელიმის. ვ. ძამაშვილის, გ. შალვაშვილის** და **ვ. მირიანაშვილის** ლექსები: . . . . . . . . . . . . 20
13. მეცნიერება და ტეხნიკა . . . . . . . . . . . . . . . . . . 22
14. გამოიცანით!—**დ. მარიჯანიძის** . . . . . . . . . . . . . . .
15. ჟურნ. „წითელი სხივი"-ს და „პიონერი"-ს 1926 წლის შინაარსი . . . 24
16. რებუსი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

329·15ჰ(05)
ჰ-47.
16

მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!

# პიონერი

1927
30 იანვარი

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმმართველობის და საქართველოს მ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცეკასთან) ჟურნალი ბავშვებისათვის

წელიწადი II
№ 2



ლენინის დროშის ქვეშ უკვე ირაზმება აღმოსავლეთის და დასავლეთის ბავშვების მილიონები. გავწიოთ წინ შეუდრეკლად და შევასრულოთ ბელადის ანდერძი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




I

ერთ დილას თადე ეზოს კარებთან იდგა და ძაღლს ეთამაშებოდა. ამ დროს მას ქუჩიდან შემოესმა ძახილი:

— თადე, თადე ერთი აქ მოდი, აქ მოდი, რა უნდა გითხრა!

თადემ გაიხედა და დაინახა სანდრო, რომელიც რაღაცას ძლიერ გაეხარებინა და სიხარულის მიზეზი თადესათვისაც უნდოდა გადაეცა.

— სანდრო, შენა ხარ, რა მოხდა, რა, რა?..

— იცი რა, იცი რა უნდა გითხრა? ახალი ამბავი, სულ ახალი...

— მითხარი, მითხარი, რაშია საქმე?..

— ჩვენს სოფელში ქალაქიდან ერთი ახალგაზრდა კაცი ჩამოვიდა, შავი ხუჭუჭი თმა აქვს და ისეთი გულკეთილია, ისეთი, ისეთი, რომ, რა ვიცი! რამდენი წიგნი ჩამოიტანა, უუუუ, რამდენი!! აი, ერთი მეც მაჩუქა. ხედავ, რა ლამაზია? — აღტაცებული ეუბნებოდა სანდრო და თანაც სახე უბრწყინავდა.



ახალი ამბავი, სულ ახალი!

— მერე, არ იცი რისთვის ჩამოვიდა?..

— პიონერების კოლექტივი უნდა დააარსოს. იმან გვითხრა, თუ ვინ არის პიონერი. აი, ჩვენც პიონერები ვიქნებით. ხომ ჩაეწერები შენც პიონერად?

— მერე, სად უნდა ჩავეწერო?..

— დღეს უნდა შევიკრიბოთ ჩვენი სოფლის კლუბში. შენც მოდი იქ და ჩაეწერები.

— კარგი, კარგი, უსათუოდ მოვალ, — უპასუხა თადემ და სანდრო კი სიხარულს ეძლეოდა, ხტომით და ტაშის კვრით გაიქცა შინისაკენ.

თადესაც მოუთმენლობა დაეტყო. ელოდა საღამოს, რომ წასულიყო კლუბში და პიონერად ჩაწერილიყო.

მოლოდინში დრო ზანტად გადიოდა და, როგორც იყო, დასაღამოვდა.

თადე სუფთად გამოეწყო და წავიდა დანიშნულ ადგილას.

კლუბის ეზოში ბავშები შეკრებილიყვნენ.

ერთმანეთში ცოცხალი და მხიარული თამაშით ერთობოდენ.

უცბად გაისმა ხმა:

— მოდის, მოდის, მოდის ჩვენი ქალაქელი ამხანაგი.

ჯგუფად შეგროვილნი მიეგებენ მოსულს.

მან ყველას ერთ ოთახში მოუყარა თავი და საუბარი გაუმართა, გარკვევით აუხსნა, თუ ვინ არიან პიონერები და რა მუშაობა უნდა აწარმოონ მათ.

ბავშებს ძლიერ მოეწონათ განზრახული მუშაობის გეგმა და მოუთმენლად ელოდენ კოლექტივის მეცადინეობის დაწყებას.

მართლაც, რამდენიმე კვირის შემდეგ უკვე გაჩაღდა პიონერული მუშაობა და თითქმის ყველა წითელი ყელსახვევით მოირთო.

შესდგა კოლექტივი და დაიწყეს მუშაობა, საღამო-წარმოდგენების გამართვა, რაც ამ სოფლის ბავშებისათვის ახალ რამეს წარმოადგენდა და რაც სიხარულით ავსებდა მათ.

თადეც ყოველ მეცადინეობაზე გულმოდგინედ დადიოდა და ტოლ-ამხანაგებში დიდი სიყვარულიც დაიმსახურა.

II

გავიდა რამდენიმე თვე. უკვე თოვლით დაიფარა მიდამოები და თეთრად შეიმოსა მთები და ველები. ყინვა და სიცივე შემოეპარა ჰაერს და თითქმის ყველას ქოხებში ენთო ბუხრები, რომლის კვამლიც უხვად ადიოდა ცისკენ სახურავებიდან.

ერთ დღეს, ვიდრე კოლექტივის წინამძღოლი თავის საუბარს დაიწყებდა, პიონერებმა შენიშნეს, რომ პიონერი სიკო კუთხეში დამდგარიყო და ძლიერ მოწყენილი იყო.

17
ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ცდილობდა, ამხანაგებისათვის ცრემლები არ ეჩვენებინა, მაგრამ ეს პიონერებს არ გამოეპარათ და დაუწყეს გამოკითხვა.



შესდგა კოლექტივი, დაიწყეს მუშაობა.

წინამძღოლსაც შეატყობინეს. ის მოვიდა და ალერსიანად შეეკითხა:

— რათა ტირი, ავად ხომ არა ხარ?..

— არ-რა, —სლოკინით უპასუხებდა ბავში.

— აბა, მაშ მითხარი, რათა ტირი, ვინმემ ხომ არ გაგაჯავრა?..

— არა, არა, არავის არ გაუჯავრებივარ, — ისევ განაგრძობდა ტირილს და უარის თქმას.

— სთქვი, ნუ გეშინია, —უთხრა წინამძღოლმა და მოუთმენლად ელოდა პასუხს.

— მამა ავადა მყავს, უკვე სამი თვეა წევს და...

— და რაა?.. სთქვი.

— სახლში ცივა, შეშა არა გვაქვს და...

— მერე, მერე, სთქვი.

— დედამ სთქვა, სიცივისაგან დავიხოცებით ჩვენცა და მამაცაო.

ამ სიტყვებით დაამთავრა პიონერმა სიკომ და უფრო მეტად მორთო ტირილი.

წინამძღოლი ჩაფიქრდა, რაიმე საშველი უნდა გამოენახა. ბოლოს სახე გაუნათდა, კოლექტივის სხდომა გახსნა და პიონერებს მიმართა;

— პიონერებო, ჩვენი ამხანაგი ძლიერ ღარიბი ყოფილა, მამაც ავად ჰყოლია და ამ ცივ ზამთარში უშეშოდ უხდებათ ყოფნა. ჩვენ როგორმე უნდა დავეხმაროთ მას.

ამ სიტყვებზე ყველა ჩაფიქრდა. დუმილს მიეცნენ. ვერავინ ვერ მიმხვდარიყო, თუ როგორ უნდა გაეწიათ დახმარება.

უცბად თადე წამოდგა ადგილიდან და წინამძღოლს სიტყვის თქმის ნება სთხოვა.

— ამხანაგებო, —დაიწყო თადემ, უფლება რომ მიიღო, — ჩვენს ამხანაგს სიკოს მამა ავადა ჰყავს. მაგის დედას შეშის მოჭრა არ შეუძლია. ჩვენ უნდა დავეხმაროთ მათ. ამიტომ კარგი იქნება, რომ ჩვენ ყველანი, აი, ვინც აქა ვართ, წავიდეთ ტყეში და შეშა მოვუჭრათ მათ. ურმებიც სადმე ვითხოვოთ.

ეს აზრი ყველას მოეწონა. ტაშმა იგრიალა და მით დაჯილდოვებული თადე თავის ადგილზე დაჯდა.

მას თვითონაც უკვირდა, თუ როგორ მოახერხა სიტყვის ისე თქმა, რომ ლაპარაკი არ შეშლოდა. აღტაცებული იყო და გული სიხარულით უცემდა.

ოქმში ასე შეიტანეს:

| მოისმინეს: | დაადგინეს: |
| --- | --- |
| 1. პიონერ სიკოს შესახებ, რომელსაც მამა ავადა ჰყავს და განიცდის გაჭირვებას უშეშობის გამო. | პიონერ სიკოს ღარიბი ოჯახის დასახმარებლად კვირა დილით მთელი კოლექტივი წავიდეს ტყეში და მოუჭრას რამდენიმე ურემი შეშა. წინასწარ კი ხის მოჭრის ნებართვა იქნას აღებული სატყეოს მართველობისაგან. |



— სთქვი, ნუ გეშინია, — უთხრა წინამძღოლმა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

III.

როგორც იყო, კვირა დილა გათენდა. პიონერები ამ დღისთვის დიდ სამზადისში იყვნენ. ზოგი ნაჯახს შოულობდა, ზოგი ცულს და გროვდებოდენ დანიშნულ ადგილას, რომ ტყისაკენ გამგზავრებულიყვნენ.



ყველა კმაყოფილი ბრუნდებოდა შინ.

თადემაც ზურგზე ნაჯახი დაიმაგრა, მცირეოდენი საგზალი აბგაში ჩაიდო, ეზოს კარები გამოაღო და პიონერების ბინისაკენ გაემართა.

პიონერები უკვე შეგროვილიყვნენ, მხოლოდ თადეს-ღა ელოდენ.

რამოდენიმე ხნის შემდეგ გაემართენ მაღლობისაკენ, სადაც ტიტველ ტყეს თეთრი ზეწარი გადაჰკროდა.

ფერდობები და მთები თოვლით იყო დაფარული.

მხიარული ჟივილ-ხივილით მიჰყვებოდენ ურმებს და თანაც სტკბებოდენ იმ სილამაზით, რომელსაც გარემო ბუნება გამოხატავდა.

რამდენიმე საათის სიარულის შემდეგ ტყეს მიუახლოვდენ, ხელად კოცონი გააჩაღეს და დასასვენებლად ცეცხლს შემოუსხდენ.

დასვენების შემდეგ დაიწყეს შეშის ჭრა.

ხალისითა და გატაცებით მუშაობდენ ისინი; მათთან ერთად სჭრიდა შეშას წინამძღოლიც და შუადღე რომ გადავიდა, უკვე შეშით დატვირთული რამდენიმე ურემი სოფლისაკენ დაიძრა.

ყველა კმაყოფილი ბრუნდებოდა. გზაში გუნდაობდენ და თოვლშიაც ისე კოტრიალობდენ, როგორც რბილ საწოლში.

დამწუხრებული ოჯახი გაახარეს პატარა ბავშებმა, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი შრომა და გაჭირვებულთ უშველეს.

ე. პოლუმორდვინოვი.

# 9 იანვარი.

დღის მოგონებები დარდად გვებურება,
გრძნობებით აღსავსე გვიღელავს გული და
ეს ხსოვნა არასდროს ჩვენში არ ჩაქრება,
ტკივილს ვერ მოჰგლეჯენ მშრომელთა გულიდან.

—

წარსული დღეები, წარსული ვაება,
თოვლი ცხრა იანვრის, წითლად შეღებილი,—
დარაზმულ მუშების იყო გაწამება,
როცა გრძელ ქუჩებში ჩნდებოდენ ძმებივით.

—

„ჩვენც გვინდა სიცოცხლე ადამიანური,
უნდა დაგვიფასდეს შრომა და მარჯვენა,
სიმშილ-სიცივისგან გვიტირის ცოლ-შვილი
და თქვენსკენ მოვდივართ მათ გადასარჩენად...“

—

ეს იყო მუშათა უზომო სურვილი
და რწმენით აღვსილნი მიადგენ სასახლეს,
სადაც თაღებია ოქროთ დაბურვილი,
სად მეფეს ალხენდენ ქეიფში განახვევს...

—

გაისმა უეცრად ტყვიების ზუზუნი,
და გულებს აღმოჰხდა კვნესა და ვაება,
ათასი სიცოცხლე, ცეცხლში დაღუპული,
დასისხლულ ქუჩებში უმწეოდ დაეცა...

—

ატირდა მშრომელთა კერა და ოჯახი,
ობოლი ბავშები დარჩენ ბედს ამარა,
მშრომელი გმირები ცეცხლით და მახვილით
ულმობელ მტარვალმა მთლად დაასამარა.

—

დღესაც მოგონება დარდად გვებურება,
გრძნობებით აღსავსე გვიღელავს გული და
ეს ხსოვნა არასდროს ჩვენში არ ჩაქრება,
ტკივილს ვერ მოჰგლეჯენ მშრომელთა გულიდან.

გლიორ.

18
ეროვნული ბიბლიოთეკა



### V. მიეტას სიკვდილი.

მიეტას წყნარად ეძინა; ესიზმრებოდა წარსული მომხიბლავი, ლამაზი წლები; მალე გამოეღვიძა; მათ წინ ხეობა გადაშლილიყო, მკრთალი ნათელით მთლად დაფრქვეული. მზეს ჯერ კიდევ არ ამოეხედა გაღმა ქედიდან. ჰაერი გამჭვირვალე და ცივი იყო. ვიორნა თეთრი ზოლივით იკარგებოდა შორს, ყვითელ და წითელ მინდვრებში.

ისინი სწრაფად წამოხტნენ, დილის მოახლოვებით მხიარულნი და ბედნიერნი.

ღამე' წაიღო თან ნაღვლიანი გრძნობები, და ამიტომ აღტაცებულნი გაჰყურებდენ ფართე ჰორიზონტს, თან ყურს უგდებდენ ზარების გუგუნს, რომელიც სადღესასწაულო რეკად ეჩვენებოდათ.

— ოჰ, რა კარგად გამოვიძინე!—წამოიძახა მიეტამ.

— მე კი მცივა,-სიცილით უპასუხა სილვერმა,-საშინელი სიცივეა სწორედ.

— მე მხოლოდ ფეხები გამეყინა.

— მაშ გავიქცეთ.

ისინი დაეშვენ ფერდობზე და სირბილით მიაღწიეს გზას. უფრო და უფრო ნათდებოდა. ჭაბუკი არა ერთხელ იყო ნამყოფი **ორშერში** და ამიტომ უფრო მოკლე და ხელსაყრელ ბილიკებს არჩევდა. ამგვარად მათ გაიარეს ორ ლიოზე მეტი უდაბური გზებით, ღობეების და გალავნების გასწვრივ. მიეტა არწმუნებდა სილვერს, გზა დავკარგეთო.

უცებ ისინი **ორშერის** პირდაპირ გავიდენ. მკაფიოდ ისმოდა ბრბოს მაღალი და მხიარული ყვირილი: აჯანყებულებმა ის-ის იყო ფეხი შედგეს ქალაქში. მიეტა და სილვერი თითქმის მათთან ერთად შევიდენ. არასოდეს არ ენახათ ახალგაზრდებს ასეთი აღფრთოვანება. ისე იყო ქალაქის ქუჩები მორთული, თითქოს ეს-ეს არის პროცესიამ უნდა გამოიაროსო. აჯანყებულებს აღტაცებით იღებდენ, როგორც განმათავისუფლებლებს: მამაკაცები ეხვეოდენ მათ, ქალებს კი სასმელ-საჭმელი მოჰქონდათ, მოხუცნი ტიროდენ. სამხრეთის მხიარულება სიმღერაში, ცეკვაში და ხელების ქნევაში გამოიხატა. მიუახლოვდა თუ არა მიეტა, იმ წამს ბრბოში მოჰყვა, რომელიც **დიდ მოედანზე** ფარანდოლას [1]) ცეკვავდა. სილვერი მიეტას მისდევდა, მას არ ჰქონდა სიკვდილის შიში; მას ბრძოლა სწყუროდა და გარდასწყვიტა, ძვირად გაეყიდა თავისი სიცოცხლე. ბრძოლის აზრმა იგი ისევ დაათრო, ოცნებობდა გამარჯვებაზე და ბედნიერ ცხოვრებაზე მიეტასთან ერთად, მსოფლიო რესპუბლიკის წიაღში.

ორშერის მოსახლეობის ძმური დახვედრა აჯანყებულთა უკანასკნელი ლხინი იყო; ის დღე უზრუნველად გაატარეს, შუქიან იმედებით აღსავსეთ.

ღამემ წყნარად გაიარა. აჯანყებულებში შემაძრწუნებელი ამბავი გავრცელდა. თითქოს ღამემ შთანთქა გუშინდელი აღფრთოვანება და გამარჯვების რწმენა. დილით ყველა დაღვრემილი და ნაღვლიანი იყო.

არასასიამოვნო ამბები, რომელიც გუშინ, როგორც იყო, დამალეს უფროსებმა, უფრო და უფრო ვრცელდებოდა და თუმცა არავინ არას ამბობდა, მიუხედავად ამისა ბრბო რაღაცა უხილავმა ძალამ შიშში ჩააგდო.

---

[1] ფარანდოლა—ცეკვა (საფრანგეთში)

ირწმუნებოდენ, პარიზი დამარცხებულია, პროვინცია დამონებულია და მრავალრიცხოვანი ჯარი, მარსელიდან გამოსული პოლკოვნიკის **მასსონის** და დეპარტამენტის პრეფექტის **დე-ალერიოს** უფროსობით, აჩქარებული ახლოვდება რევოლუციონური ჯარების გასაჟლეტად. ეს იყო საშინელი გამოღვიძება, მრისხანებით და სასოწარკვეთილებით აღსავსე.

დილას მეთაურმა, რომელმაც თავდაცვის სულ უბრალო ზომებიც კი არ მიიღო, თვისი ჯარის ალლუმი მოახდინა: დაეწყვენ აჯანყებულნი მიხაკისფერ ქურთუკებში, მუქ პალტოებში, ლურჯ ხალათებში, წითელ ქამარ შემოჭირებულები, ზურგით ხეობისაკენ.

სხვადასხვა იარალი ბრწყინავდა მზეზე: დალესილი ცელები, ფართე ბარები, სანადირო თოფების გაშავებული ლულები.



დაიწყო ბრძოლა...

უცებ, სწორედ იმ წამში, როცა მეთაური თავისი პატარა არმიის რიგებს ათვალიერებდა, მოვარდა გუშაგი ზეთისხილის მინდვრიდან, რომლის შეცვლა დავიწყებოდათ.

— ჯარისკაცები, ჯარისკაცები! — ყვიროდა იგი ხელების ქნევით.

აუწერელი მღელვარება დაიწყო. ჯერ ეგონათ, ვითომ ეს ტყუილი განგაში იყო. აჯანყებულებს გადაავიწყდათ დისციპლინა და გაექანენ ჯარისკაცების დასანახად.

რიგები დაწყდა და, როცა ზეთისხილის ხეების იქით ჯარი გამოჩნდა ხიშტების პრიალით, იმ წამსვე უკან დახევა დაიწყეს.

მოედანზე **პალიუდის და სენ-მარტინ-დე-ვოს** მცხოვრებლები დაეწყვნენ მრისხანედ და უძრავად. რომელიღაც გიგანტური ტანის მენახშირე წითელ ხელსახოცს აქნევდა და თან ყვიროდა: „აქეთ, შავარდელებო, სენტ-ეტროპელებო, ჩვენსკენ, ტიულეტელებო! აქეთ პლასანელებო!

ბრბო ორად გაიყო და მოედანზე გაიარეს. ხმლიანი კაცი, ფავეროლელებით გარს შემორტყმული, მარჯვნივ წავიდა მტრის უკუსაგდებლად, სხვები მარცხნივ ეცენ და ნორას ველზე გაიშალენ ბარში.

იმ დროს, როცა მოედანი ცარიელდებოდა, თელების ქვეშ თავი მოიყარეს იმათ, რომლებსაც მენახშირე მოუწოდებდა; მათ გადაწყვიტეს ან გზა გადაეღობათ ჯარისთვის, ან დახოცილიყვნენ, თუმც ტაქტიკის ყველა წესების წინააღმდეგ იყვნენ დაწყობილნი.

პლასანელები სწორედ გმირების ჯგუფის შუაგულში დადგენ.

ნაცრისფერი ხალათების და ქურთუკების ფონზე და იარაღის მოლურჯო პრიალში წითელდროშიანი მიეტა უშველებელ წითელ ლაქას ჰგავდა, ახალ ჭრილობას.

უცბად ყველაფერი მიჩუმდა. ახლა მხოლოდ მოახლოვებული ჯარისკაცების ფეხის ხმა ისმოდა.

გავიდა მეტად გრძელი წამი. ჯარისკაცები გორაკებში გაჰქრენ, მაგრამ მალე ვაკეს მხრივ, მიწის პირად, აჯანყებულებმა ხიშტის წვერები დაინახეს, რომლებიც იზრდებოდენ და ფოლადების თავთავიან ჯეჯილსავით პრიალებდენ მზეზე.

ამ წამში სილვერს მოეჩვენა, თითქოს მის წინ იმ ჟანდარმმა გაირბინა, რომლის სისხლიც დაღვარა; მან ამხანაგებისაგან იცოდა, რომ რანგადი ცოცხალია, რომ მას მხოლოდ თვალი აქვს ამოვარდნილი; იგი გარკვევით ხედავდა მას, სისხლით მოსვრილს, მრისხანეს. სილვერი ფიქრობდა, რომ შიში მოიცავს მას. თვალთ დაუბნელდა, ყარაბინს მოუჭირა მაგრად ხელი და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, სროლა დაეწყო და რანგადის მოჩვენება გაეგდო.

ხიშტები ნელ-ნელა მოდიოდა ზევით.

როცა ჯარისკაცების თავები გამოჩნდა ესპლანადის [1]) განაპირიდან, სილვერმა უნებლიედ მიეტას შეხედა: მაღალი, ვარდისფერ წითელი დროშის ნაოჭებში გახვეული, იგი თითის წვერებზე დგებოდა, რომ დაენახა ჯარისკაცები; ნერვიული ცდის გამო

[1] ესპლანადა — ცარიელი ადგილი ციხე-სიმაგრესა და ქალაქს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხვირის ნესტოები უთრთოდა და ტუჩებს შორის თეთრი კბილები უჩანდა.

სილვერმა გაუღიმა, მაგრამ თავის მობრუნება ვერ მოასწრო, რომ ასტყდა სროლა. ჯარისკაცებმა მხრებამდის ამოიწიეს მხოლოდ.

სილვერს მოეჩვენა, თითქოს მის თავზე ზევით გრიგალმა გაირბინა, როცა თელებიდან წვიმასავით ჩამოცვივდა ფოთოლი. მკვეთრმა ხმამ, თითქოს ხმელი ტოტი გატყდაო, მარჯვნივ მიახედა სილვერი.

უშველებელი მენახშირე მიწაზე ეგდო, მუხლზე პატარა შავი ჭრილობა უჩანდა. მაშინ სილვერმაც ისროლა, დაუმიზნებლად, პირდაპირ წინ, გატენა და ისევ ისროლა.

მაგრამ თავზარდამცემი ხმები უფრო ძლიერ ისმოდა: „თავს უშველეთ, თავს უშველეთ“.

აჯანყებულნი გაიქცენ, იარაღი დაჰყარეს, გვამებზე ხტებოდენ.

დარჩა მხოლოდ ათი კაცი. ისინი შეჯგუფდენ. კიდევ ორი გაიქცა; დარჩენილი რვიდან სამიც მოჰკლეს.

სილვერი და მიეტა იდგენ ისევ, ანგარიშს არ აძლევდენ თავს, არაფერი ეყურებოდათ.

შესუსტდა რა სროლა, მიეტამ უფრო და უფრო მაღლა ასწია დროშა, უშველებელ სანთელივით ეჭირა ხელში; დროშა ტყვიებით იყო დაცხრილული.

სილვერს გამოელია ვაზნები და სროლა შესწყვიტა, გაკვირვებული დაჰყურებდა თავის ყარაბინს.

უცბად მის წინ რაღაც ჩრდილმა გაიარა, თითქოს უშველებელმა ფრინველმა ფრთა შეახო მას.

თავი აიღო და დაინახა, რომ მიეტას დროშა უვარდება ხელიდან.

ქალს ორივე ხელი მკერდზე მიედო და თავი კი უკან გადაუვარდა, საშინელი ტანჯვის გამომეტყველი.

უხმოდ დაეცა იგი წითელ დროშაზე.

— ადექი, წავიდეთ ჩქარა,-უთხრა სილვერმა, ხელი გაუწოდა, თავი დაჰკარგა.

მაგრამ მიეტა გაჭყეტილი თვალებით იწვა მიწაზე და ხმას არ იღებდა. სილვერი მიხვდა და მუხლებზე დაეცა.

— შენ დაჭრილი ხარ? რაში დაიჭერი?

მიეტა გაჩუმებულიყო, მძიმედ სუნთქავდა და თრთოდა, ფართედ გაღებული თვალებით შეჰყურებდა მას. სილვერმა ხელები გაუშალა.

— აქ, აქ? მართლა?

ტანისამოსი შემოახია, მკერდი გაუღელა, მაგრამ ვერაფერი შეამჩნია. თვალები ცრემლებით აევსო.

მაგრამ, აი, მარცხენა ძუძუს ქვეშ მან დაინახა პატარა ვარდისფერი ნახვრეტი. სისხლის მხოლოდ ერთი წვეთი გამოჩნდა ჭრილობიდან.

— ეს არაფერია,—ბუტბუტებდა იგი, ნეტავი ადგომილიყავი მხოლოდ... არ შეგიძლია წამოწევა?

ჯარისკაცებმა სროლა შეწყვიტეს; ისინი მარცხნივ გაქანდენ, იქ, სადაც ერთი ჯგუფი იყო, ხმლიანი კაცის მიერ მოყვანილი.

მოედანზე მხოლოდ სილვერი დარჩა, მიეტას წინ მუხლმოყრილი. სასოწარკვეთილი მოეხვია იგი მიეტას, ცდილობდა ფეხზე აეყენებინა, მაგრამ ქალი ისე თრთოდა, რომ მან ისევ დაუშვა ძირს.

— გთხოვ, ერთი სიტყვა მაინც მითხარი. რატომ არ მიპასუხებ?



მოკვდა, მოკვდა,—იმეორებდა ის.

ქალი მხოლოდ ხელებს ატრიალებდა, თითქოს უნდოდა ეთქვა, რომ ის დამნაშავე არაა.

მიეტას მოკუმული ტუჩები დაწვრილდა, სიკვდილის სუნთქვა შეეხო მას. თმები აეწეწა, თავი გასისხლიანებული დროშის ნაოჭებზე ჩამოუვარდა, სიცოცხლე მხოლოდ მუქ ელვარე თვალებში იბრძოდა. სილვერი აქვითინდა. მიეტას ღრმა თვალების გამომეტყველება სტანჯავდა მას; ამ თვალებში სილვერი სიცოცხლის დანანებას ხედავდა.

დახრილი სილვერი ჰგრძნობდა ამ ფიცხი არსების მწარე ცრემლებს; მისი ტუჩები ცრემლებს დაესველებია.

სილვერს არ სჯეროდა მიეტას სიკვდილი და ეუბნებოდა:

— არა, შენ ნახავ, რომ ეს არაფერია... ნუ ილაპარაკებ, თუ გტკივა. მოიცა, თავს აგიწევ; მე გაგათბობ, შენ ისეთი ცივი ხელები გაქვს...

მარცხვნივ, ზეთისხილის ჭალაში, ისევ დაიწყო სროლა. ცხენოსანთა ყრუ ხმა ისმოდა **ნორას** ხეობიდან. ზოგჯერ მომაკვდავების ყვირილიც მოისმოდა. ხშირი კვამლი იდგა თელების ქვეშ.

ამ დროს მომაკვდავი ოდნავ გაინძრა, ტანჯვის გამომეტყველებამ გადაურბინა სახეზე, გაღებული ტუჩებიდან კვნესა ამოხდა.

მისი ჯერ კიდევ ისევ ფართედ გაღებული თვალები უძრავად მიაჩერდა ჭაბუკს.

მოკვდა.

— მოკვდა...-სილვერი შეტორტმანდა, მუხლებზე დაეცა, მიჯდა თითქოს მიეტას მსუბუქმა ამოკვნესამ წააქცია.

— მოკვდა! მოკვდა!—იმეორებდა ის.

— ეს მართალი არაა, ის მიყურებს... ხედავთ, ის მიყურებს მე.

-- მოკვდა! მოკვდა! გუგუნივით გაისმოდა მის თავში. მარტო რომ დარჩა, ძლივს-ძლივობით მიჩოჩდა გვამთან.

მიეტა წინანდელივით უყურებდა მას... მაშინ მოეხვია, თავი დაადო ღია ყელზე და ცრემლები წასკ-



ჟანდარმმა სილვერი ძალლივით წაიყვანა...

და. გოგონა ცივი იყო; სილვერი გრძნობდა, როგორ ეცლებოდა ხელიდან უსიცოცხლო სხეული.

შიშის ზარმა მოიცვა იგი; წამოხტა, სახე დაეპრანჭა, ხელები ჩამოუცვივდა და იმავე ადგილზე გაჩერდა, თან უაზროდ იმეორებდა:

— მოკვდა, მაგრამ მიყურებს, თვალებს არა ხუჭავს, მხედავს.

ამასობაში ნორას ხეობაში ცხენოსნები აჯანყებულებს სჩეხავდენ; ცხენების ჭიხვინი და მომაკვდავთა ყვირილი ნელდებოდა.

სილვერს არაფერი ეყურებოდა; თავის ბიძაშვილსაც კი ვერ ხედავდა, რომელიც ფერდობზე ამოვიდა და ისევ მოედანზე გაჩნდა: გავლისას პასკალმა სილვერის მიერ გადაგდებული ყარაბინი აიღო; მან იცნო თოფი, არა ერთხელ უნახავს ის დეიდა დოდასთან ბუხარზე ჩამოკიდებული და ახლა გადასწყვიტა გამარჯვებულთაგან გადაერჩინა. შევიდა თუ არა იგი დაჭრილებით სავსე სასტუმროში, მოედანი აჯანყებულებით გაივსო, მორბოდენ. ჯოგივით და ჯარი კი უკან მოსდევდა; ხმლიანი კაცი მორბოდა; ეს უკანასკნელი ნაშთი იყო; ყოველი მხრიდან შემოეხვიენ ჯარისკაცები მათ და საშინელი ჟლეტა დაუწყეს.

ამაოდ უბრძანებდენ პოლკოვნიკი მასსინი და დე ბლერიო უკან დახევას, ებრალებოდათ რა უიარაღონი,—გამხეცებული ჯარისკაცები განუწყვეტლივ ისროდენ და ხიშტებზე აგებდენ გაქცეულებს. როცა მოედანი გაცარიელდა, სასტუმროს დაუშინეს; დარაბები და ფანჯრები მთლად ჩაილეწა; შიგნიდან ისმოდა ყვირილი: „ტყვეები ვართ, ტყვეებიო“, მაგრამ ჯარისკაცებს ეს არ ეყურებოდათ.

სილვერი და მიეტა ერთმანეთს უყურებდენ; მომაკვდავზე დახრილი სილვერი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა სროლას და მომაკვდავთა ღრიალს; მიეტას წითელი დროშა გადაათარა; შემდეგ ისევ ერთმანეთს დაუწყეს ცქერა.

ბრძოლა გათავდა. ჯარისკაცები დაძრწოდენ ყოველ მოხვეულებში, თითქოს არცერთი აჯანყებულის გაშვება არ უნდოდათ.

ერთმა ჟანდარმმა სილვერი შეამჩნია და მოირბინა მასთან, მაგრამ, რა დაინახა, რომ საქმე თითქმის გვამთან აქვს, მხოლოდ ჰკითხა:

— რას აკეთებ აქ, ბიჭო?

სილვერი გაჩუმებული იყო და მიეტას ჩასცქეროდა თვალებში.

— აი, შე ყაჩაღო, შენა; დახე ამას, ხელები სულ გაშავებია თოფის წამლით!—წამოიძახა ჟანდარმმა და დაიხარა.—ადე, წამოდი, შე არამზადავ! ხელად გაგისწორდებით! მაგრამ რადგანაც სილვერი არ ინძრეოდა, ჟანდარმა შეამჩნია, რომ დროშაზე მდებარე სხეული ქალის გვამი იყო.

— რა კარგი გოგონაა, საცოდავი!—წაიბუტბუტა მან.

შემდეგ სიცილით დაუმატა:

— ადე, წავიდეთ... ეგ ხომ მკვდარია, ხომ არ დაიძინებ მაგასთან...

და უხეშად გაჰკრა ხელი სილვერს, ფეხზე დააყენა და თან წაიყვანა ძაღლივით. სილვერი მორჩილად გაჰყვა, ხმა არ ამოუღია. მოიხედა და მიეტას დააშტერდა. სასოწარკვეთილებამ შეიპყრო ის, მიეტა მარტო რჩებოდა ხეების ქვეშ.

უკანასკნელად გახედა.

მიეტა განმარტოებით იწვა წითელ დროშაზე, თავი ცოტა უკან გადავარდნოდა, დიდი თვალები კი უძრავად მისჩერებოდა სივრცეს.

ე. ზოლა

(განგრძობა იქნება).

20
ეროვნული ბიბლიოთეკა

# სისხლიანი კვირა.

ვინ მოიგონოს ის დღე მზაკვრული,
რომ არ ჩამოწყდეს თვალიდან ცრემლი,
ვინ არ ახსენოს იგი დღე კრულვით,
და გულში სევდა არ იგრძნოს მწველი!
ბევრი მებრძოლი დავკარგეთ წინეთ,
სველ სარდაფების უბით შობილი,
და მათი ხსოვნა დღეს ისე ბრწყინავს,
როგორც ლამპარი დაუქრობელი.
მზისა ნათელში როდესაც ეხლა
თვალწინ წარსულის ვაება დგება,
ჩვენ ასე ვამბობთ: „დიდია მსხვერპლი,
მაგრამ დიდია ეს გამარჯვებაც".
ცხრა იანვარი ჩუმად გათენდა
და პეტერბურგი შეირხა მშვიდად.
ცა ნისლიანი ქუჩებს ათოვდა,
ნევა კი დუდუნს ნაპირზე შლიდა.
სიჩუმით იყო მოცული სივრცე,
ჯერ არ ისმოდა ფეხის ხმა არსად,
და გადახვეწილს ნევის ნაპირზე
ჩაძინებოდა გათოშილ ქარსაც.
მაგრამ გახედეთ იქ, მოედანზე,
ბრბო შეგროვილა აღელვებული.
ათასეული გულები დაძგერს,
ბრძოლის ყიჟინას მოწყურებული.
ხალხი ბობოქრობს უფრო და უფრო,
ამოხდათ ხმები ბრძოლების ჰიმნად:
„ჩვენ გვშიან პური, თავისუფლება,
და არ მონობა, შიმშილი, გმინვა".
ხალხი გუნდებად აწყდება ირგვლივ,
ჰაერში ისმის მუქარა მტრული.
ფრთა ვინ მოსტეხოს ავარდნილ გრიგალს,
ვინ დაიურვოს ათასი გული?
„თავისუფლება მოგვეცით დღესვე,
მოგვეცით პური, სიტყვა მართალი".
ხალხი დაიძრა, და ხშირ ტყესავით
ხვეულ ქუჩებით მიემართება.
შორს მკრთალად მოსჩანს სასახლე მეფის,
სასახლის თავზე ჯვარი პრიალებს.
„ხალხო, რას გმინავ, ხალხო, შეჩერდი",
უცებ ზარივით გაიწკრიალებს.
ათასი გული შეირხა ერთხმად,
ათიათასმა მიაპყრო თვალი.

აგერ გამოჩნდა გაპონი კვერთხით,
წარბებშეკრული და სახემკრთალი.
„ხალხო, შეჩერდი, მისმინე, ხალხო",
კიდევ შეჰყვირებს გაპონი მწყრალად,
შემდეგ ცბიერი და თავდახრილი
აღელვებულ ხალხს მიმართავს წყნარად:
„ხალხო, მე ვუსმენ თქვენ გულებს ფიცხელს,
თუ რატომ გიძგერსთ მკერდი მაგარი.
მაგრამ რათ გვინდა მსხვერპლი და სისხლი,
როცა გზა არის უფრო სხვაგვარი?
წავიდეთ ერთად, ვეახლოთ მეფეს,
ვუთხრათ, რაც გვიჭირს, მოვთხოვოთ შვება.
იგი ყველაფერს გამოიმეტებს,
თუკი რომ ხალხი შეევედრება".
უჯერებს ყველა. გაპონი ხარობს,
ანთებულ სახეს უცებ იცვლიან.
აგერ სასახლეც... ყოველის მხრიდან
თითქოს ჯარია, თითქოს ნისლია.
ჩერდება ხალხი... ააპყრეს ხელი,
თვალში ჩაუდგათ ცრემლები ბინდად,
ელიან მეფეს, როდესაც ქველი
მათ გადმოხედავს მოაჯირიდან.
მაგრამ... ამა დროს დასჭექა მკვახედ,
ამოხდათ გმინვა და სისხლის ხველა.
ყველგან კვამლია... სადაც გახედავ,
მკერდდაცხრილული ეცემა ყველა.
მეფის წყალობა? ო, მეფე ქველი
მშრომელთა გვერდებს ტყვიებით ქარგავს!
საით გადაქრა ცბიერი მღვდელი,
ჩვენი გაპონი სად დაიკარგა?!
სისხლმა შეღება თოვლი და მიწა,
გამდნარი თოვლი ჰაერში ბოლავს.
უკანასკნელი მაშვრალი მიწვა
და აქ შეჩერდა ტყვიების სრბოლაც.
ო, რამდენს მოვთვლით წუთებს ამგვარს,
ამგვარი მსხვერპლი ჩვენ ბევრი ვიცით!
ასე მოვიდა ცხრა იანვარი,
ასე მოირწყო ქუჩები სისხლით.
ის დღე გულებში სევდად მარხია,
თვალწინ გვეშლება წარსული შავად,
და პიონერნი თავებს დახრიან
ცხრა იანვარის აღსანიშნავად.

გ. სიოშვილი.

# როგორ უნდა ჩამოვაყალიბოთ რგოლის და კოლექტივის მუშაობა

პიონერ-ორგანიზაციის ორგანიზაციული დებულების თანახმად, ორგანიზაციის ძირითად ერთეულს შეადგენს კოლექტივი, რომელშიც ირიცხება 50 პიონერი. კოლექტივი თავის მხრივ იყოფა რგოლებად. რგოლებად დაყოფა იმისთვის ხდება, რომ ნაყოფიერად, შინაარსიანად და გეგმიანად ტარდებოდეს კოლექტივში მუშაობა. კოლექტივის შინაარსიანი მუშაობა მთლიანად დამოკიდებულია რგოლების მუშაობაზე. თუ რომელიმე რგოლი ვერ მუშაობს, ის თავის გავლენას ახდენს და არევ-დარევა შეაქვს კოლექტივის მუშაობაში ისე, როგორც, მაგალითად, საათის მექანიზმის რომელიმე ნაწილის გაფუჭება იწვევს საათის არანორმალურ მუშაობას. ასე ხდება იმიტომ, რომ კოლექტივის და რგოლების მუშაობა გადაჯაჭვულია ერთიმეორეზე, ერთიმეორის ნაწილს შეადგენს. რგოლში მუშაობის ნორმალური მსვლელობისთვის საჭიროა, რომ წევრთა რიცხვი ათს არ აღემატებოდეს, ე. ი. ყოველ რგოლში უნდა ირიცხებოდეს 10 პიონერი. მაგრამ ჩვენს სინამდვილეში ეს ასე არ არის და ხშირად რგოლში ირიცხება 15 და უფრო მეტი პიონერი, რაც ხელს უშლის რგოლის მუშაობას, ვინაიდან როდესაც ბავშების დიდი რიცხვია, ისინი ხელს უშლიან ერთმანეთს, შეიძლება ყველა პიონერმა ვერ მიიღოს დავალება და სხვ. რგოლების ჩამოყალიბებას უნდა შევუდგეთ მას შემდეგ, როდესაც კომკავშირის უჯრედის მიერ მთლიანად იქნება ჩამოყალიბებული კოლექტივი. რგოლებად დაყოფის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ, თუ რომელ პიონერს რომელ რგოლში სურს მუშაობა. თუ რომელიმე პიონერს ძალით ჩავწერთ ამა თუ იმ რგოლში, აქედან კარგი შედეგი არ გამოვა, რადგან თვით რგოლში პიონერთა შორის არ იქნება მტკიცე კავშირი; ამიტომ უნდა ვეცადოთ რგოლებში პიონერები მოხვდენ სურვილისამებრ. პიონერ-კოლექტივის მთელი მუშაობა რგოლების საშუალებით უნდა მიმდინარეობდეს, წრეების დაარსება კოლექტივში საჭირო არ არის, მაგალითად, რისთვის უნდა დავაარსოთ მომღერალთა წრე, როდესაც ყველა პიონერმა უნდა იცოდეს რევოლუციონური სიმღერები, ანდა რა საჭიროა ფიზკულტურის წრის დაარსება, როდესაც ყველა პიონერი უნდა ეწეოდეს ფიზიკურ ვარჯიშობას? ჩვენ ვიცით, რომ წრეებში მუშაობენ მსურველები, კოლექტივში კი ყველა პიონერი უნდა აწარმოებდეს მუშაობას, ასე რომ კოლექტივში წრეების არსებობა საჭირო არ არის. წრე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ პიონერთა კლუბში, როდესაც რამოდენიმე კოლექტივი ერთიანდება. რგოლის კრებები უნდა მოვიწვიოთ კვირაში ორჯერ, ხოლო თუ ეს შესაძლებელი არ არის, მაშინ ერთხელ. თვითოეულ რგოლს უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული, თუ რომელ დღეს და რომელ საათზე იკრიბება.

### რა კეთდება რგოლის კრებაზე.

კოლექტივის საერთო კრების შემდეგ იკრიბება რგოლი, სადაც რგოლის წინამძღოლი აცნობს პიონერებს, თუ რა ევალებათ მათ ამ კვირაში შესასრულებლად. რგოლი იხილავს, თუ როგორ შეიძლება ამ დავალების შესრულება. იმუშავებს საშუალებებს ვადამდე მისი შესრულებისთვის, თუ დავალება არ შეესაბამება რგოლის ძალებს, რგოლს შეუძლია კოლექტივის საბჭოს თანხმობით შესცვალოს ან დაუმატოს. შემდეგ რგოლი ანაწილებს ამ სამუშაოს თვით პიონერებს შორის. აქ ძალიან ფრთხილად უნდა მოვიქცეთ, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ყველა პიონერს ერთნაირი სამუშაოს შესრულება არ შეუძლია. უფროს, გამოცდილ პიონერს უნდა მივცეთ უფრო სერიოზული სამუშაო, პატარას კი უფრო მსუბუქი. ამავე დროს ანგარიში უნდა გავუწიოთ თვით პიონერის სურვილსაც, თუ რომელი სამუშაოს შესრულება უნდა მას. მაგალითად, ჩვენ ვამუშავებთ კოლექტივში პირველი მაისის დღესასწაულს. კოლექტივის საბჭოს შეუძლია პირველ რგოლს მისცეს შემდეგი დავალება: შეკრიბონ ცნობები, თუ როგორ ტარდებოდა პირველი მაისი მეფის მთავრობის დროს, მეორეს—შეკრიბონ ცნობები, თუ როგორ ტარდება პირველი მაისი საბჭოთა ხელისუფლების დროს და სხვ.

ჩვენ ვხედავთ, რომ ამ საკითხის დამუშავება რგოლებში ნაწილდება. როგორ უნდა მოიქცეს პირველი რგოლი, რომელმაც მიიღო დავალება: შეკრიბოს ცნობები, როგორ ტარდებოდა პირველი მაისი მეფის მთავრობის დროს? აი როგორ: უნდა მოვიწვიოთ რგოლის კრება, წინამძღოლი ამცნობს პიონერებს, რომ ამ კვირაში უნდა დავამუშაოთ ეს საკითხი. შემდეგ რგოლი მსჯელობს იმაზე, თუ რომელმა პიონერმა რა დავალება უნდა შეასრულოს.

ერთი პიონერი მიიღებს დავალებას, რომ შეკრიბოს ცნობები მუშებისგან, გლეხებისგან ან თავისი მშობლებისგან იმის შესახებ, თუ როგორ დევნიდა მეფის მთავრობა პირველი მაისის დღესასწაულს და რისთვის დევნიდა. მეორე პიონერი ჰკრებს მასალებს, თუ როგორ ტარდებოდა წინეთ, მეფის მთავრობის დროს, პირველი მაისი, სად, რა ადგილს, რამდენჯერ? დღესასწაულის ჩატარების დროს ღისშესანიშნავი მომენტები, შეტაკება, აჯანყება და სხვ.

მესამე პიონერი ჰკრებს ცნობებს, თუ როგორ ცხოვრობდენ მეფის მთავრობის დროს მუშები და გლეხები და როგორ იბრძოდენ თავის განსათავისუფლებლად და სხვ.

ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა ეს საკითხები ფრიად სერიოზულია. ჩვენ შეგვიძლია ეს დავალება მივანდოთ არა თვითეულ პიონერს, არამედ ორ-სამს ერთად. ასევე იქცევა მეორე რგოლი, რომელმაც მიიღო დავალება, თუ როგორ დღესასწაულობენ პირველ მაისს საბჭოთა ხელისუფლების დროს. როდესაც ყველანი მიიღებენ დავალებას, შემდეგ პიონერები შეუდგებიან მის შესრულებას. როდესაც პიონერები შეასრულებენ თავის დავალებას, შემდეგ რგოლი შეიკრიბება და ჯამს უკეთებენ მთელი რგოლის ნამუშევარს. ჩვენ მოვიყვანეთ ასეთი მაგალითი იმისთვის, რომ დაგვენახებია, თუ როგორ შეიძლება ყველა პიონერის ამა თუ იმ საკითხის დამუშავებაში ჩაბმა. როდესაც რგოლი რაიმე საკითხს ამუშავებს, მასში უნდა მიიღონ მონაწილეობა ყველა პიონერებმა და არა მხოლოდ ერთმა და ორმა. რა თქმა უნდა, ზემომოყვანილი მაგალითით არ ამოიწურება რგოლის მუშაობა. დავალების მიცემა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა საკითხს ვამუშავებთ, შრომითი ხასიათის სამუშაოსთვის სხვა დავალებაა, ფიზკულტურისთვის კიდევ სხვა და ასე შემდეგ. შეიძლება მთელ რგოლს მივცეთ ერთი დავალება. მაგალითად, თამაში ან სიმღერის შესწავლა, ექსკურსიის ან გასეირნების მოწყობა. მაშინ ამას ასრულებს მთელი რგოლი ერთად, იკრიბებიან და წინამძღოლის ხელმძღვანელობით ამუშავებენ ზემოჩამოთვლილ საკითხებს. რგოლში ეწყობა აგრეთვე საუბრები იმ სამუშაოს შესახებ, რომელსაც პიონერები ასრულებენ. საუბარს ატარებს წინამძღოლი, საუბრის ჩატარება შეუძლია კომკავშირელს, კომუნისტს, მასწავლებელს, თუ ამისი საჭიროება იქნება. ჩატარებულ მუშაობაზე სწერენ კედლის გაზეთში, ხატავენ სურათებს, აკეთებენ მოდელებს, დიაგრამებს და სხვ.

ლენსკი.



პიონერი გოგონები მუშაობენ ოჯახში.

# პიონერი და ბრძოლა ახალი სოფლისათვის.

ჩვენი დიდი ბელადი ლენინი გვასწავლიდა—არ კმარა ატარო სახელი კომუნისტის, კომკავშირელის, პიონერის—საჭიროა ყოველდღე, ყოველ წუთში რაიმე აკეთო სოციალიზმის მოსაახლოვებლად, სოციალისტური აღმშენებლობისათვის, ყოველ წუთში რაიმე, თუნდა პაწია, უმნიშვნელო წვლილი უნდა შეიტანო მშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

აბა შევეკითხოთ რომელიმე სოფლის კოლექტივის პიონერს, როგორ ანხორციელებს ცხოვრებაში იმ მასწავლებლის ანდერძს, რომლის სახელსაც ის ატარებს, რას აკეთებს პიონერი სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად, უფრო მაღალ დონეზე ასაყვანად? ჩვენი პიონერები ისმენენ მოხსენებებს და იციან, ვინ არიან ჩვენი ბელადები, იციან მათი ბიოგრაფია, იცნობენ კომკავშირს, რევოლუციის ამბებს. ყველა ეს საჭიროა, მაგრამ რომ ჰკითხოთ—რა მდგომარეობაშია მისი სოფლის მეურნეობა, რა გაჭირვებაშია გლეხი, რა დახმარება უნდა მას, როგორ შეიძლება ამის გატარება—ამაზე პასუხს, ალბათ, ვერ მოგცემენ. იციან, რა ხდება ინგლის-ჩინეთში, რა ხდება გვერდით და გარშემო—ეს კი არ იციან. პიონერ-კოლექტივს „მიწაწყლის სუნი არ უდის". აი ამიტომ არის, რომ კოლექტივს სოფლად საკმაო ავტორიტეტი და სახელი გლეხის თვალში არ აქვს, კოლექტივები ვერ ფართოვდებიან, ხალისიან მუშაობას, შინაარსს ვერ პოულობენ.

თითოეული პიონერი და კოლექტივი უნდა მიხვდეს, რომ სანამ გლეხი იფიქრებს, რომ „კოლექტივში ასწავლიან სიმღერას, სიარულს, ლაპარაკს, ტყუილად ყოფნას"-და არა ყანის, ვენახის, საქონლის, ბოსტნის, ფრინველის მოვლას, მანამ სოფელში, უფროს მოსახლეობაში და ბავშვებშიაც, პიონერებს სახელი და გავლენა არ ექნებათ. ჩვენში ასე იყო: ყველა ბავში და გლეხი ფიქრობდა, აი ეს ყმაწვილი გაიზრდება, ქალაქში წავა, ისწავლის და მერე სამსახურში ჩადგებაო. ყველა გაურბოდა სოფელს, მეურნეობას—მირბოდა ქალაქში.

სწორია ასეთი შეხედულება? არა, არავითარ შემთხვევაში. კომპარტიის მიზანია—დაამყაროს სოფლადა ქ ქალაქად სოციალიზმი და კომუნიზმი—ისეთი წყობილება, როცა ყველა იქნება მშრომელი, შრომა იქნება ადვილი, ყველა იქნება კმაყოფილი, ბედნიერი, განათლებული. ჩვენში მოსახლეობის უმრავლესობა სოფლად ცხოვრობს, სოფლის მეურნეობას მისდევს. გლეხის შრომა ჯერ კიდევ მძიმეა, გლეხი კიდევ ღარიბია, ვერ არის სავსებით მაძღარი, დაკმაყოფილებული, განათლებული, საკმაოდ სუფთა. ჩვენ პარტიას უნდა ჩვენი ჩამორჩენილი, ხშირად მშიერი, გაუნათლებელი, უსუფთაო სოფელი, სადაცაა სიმთვრალე, ჩხუბი, ავადმყოფობა, შუღლი, გადააქციოს განათლებულ, მაძღარ, სუფთა სოფლად, შეუმსუბუქოს გლეხს მისი მძიმე შრომა. ამას მარტო ქალაქი და ქალაქის მუშები შესძლებენ? ვერა. საჭიროა, რომ თვით სოფლიდან, გლეხებიდან გაიზარდოს ისეთი თაობა, რომელიც **შეიგნებს** ამ ამოცანებს, **მოემზადება** მის ასასრულებლად **და გაატარებს** მას ცხოვრებაში. ასეთ თაობად აუცილებლად უნდა იყონ პიონერები.

პიონერებმა უნდა შეიგნონ ლენინის ანდერძი: ახალი სოფლის შექმნა, გლეხის მეურნეობის აწევა, მუშაობის და მიწათმოქმედების ახალი კულტურული ფორმების შემოღება, რაც აადვილებს შრომას, უმატებს შემოსავალს, აუმჯობესებს გლეხის მდგომარეობას. პიონერები უნდა **დაეხმარონ პარტიას** და კომკავშირს ამ დიდ საქმეში. ამითვე პიონერები **მოიხვეჭენ სახელს და გავლენას გლეხობაში,** მიეჩვევიან, **მოემზადებიან მომავალი მუშაობისათვის—როგორც გლეხები, საზოგადო მუშაკნი,** რომლებიც წაიყვანენ სოფელს სოციალისტური გზით, ახალ ამხანაგურ—**კოლექტიურ**-საზოგადოებრივი წარმოების გზით.

პიონერ-კოლექტივის სასოფლო სამეურნეო (აგრონომიული) მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს მრავალი მიმართულებით, მაგრამ ის აუცილებლად უნდა იყოს შეგუებული ადგილობრივი მეურნეობის ხასიათთან, და ამ მუშაობაში აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული მცოდნე ძალა—აგრონომი, მასწავლებელი, კულტურული გლეხი (მოწინავე). პიონერი აუცილებლად უნდა შეუდგეს სოფლის მეურნეობის შესწავლას. როგორ ცხოვრობს ეს სოფელი, როგორი წესით მიმდინარეობს სასოფლო მეურნეობა, რა ნაკლი ეტყობა მას, როგორ შეიძლება მისი გამოსწორება—ეს გამოკვლევა შეიძლება ცალკე პიონერების ან რგოლებისთვის დავალებით, ან ექსკურსიების სახით, რომ შეადაროთ მეურნეობა ადგილობრივი საბჭოთა მამულის (აგრო-პუნქტის) ან მოწინავე გლეხის და ჩამორჩენილის, რომელიც მამა პაპურად ძველებურად მისდევს მეურნეობას. მაგ. თუ ამ რაიონში ან სოფელში მისდევენ მესაქონლეობას, გამოირკვეს: **რამ-**

**დენ** რძეს და კარაქს იძლევა ძროხა, როგორია მისი **კვება**, ბინა ზამთარში და, საერთოდ, რამდენ ხორცს იძლევა საქონელი, ღორი და როგორია მათი მოვლა და სხვა.

ამ გამოკლევის და შესწავლის ნიადაგზე უნდა დამუშავდეს გეგმა პრაქტიკული მუშაობისა.

### საჩვენებელი პიონერ-ბოსტნები.

ეს ბოსტნები უნდა დაარსდეს ადგილობრივ საბჭოთა მამულთან ან აგრო-პუნქტთან, გლეხთა სკოლასთან, კოლექტივებთან (თუ იქ არ შეიძლება, მაშინ სკოლებთან, დაურაზმელ ბავშებთან ერთად). პიონერებს უნდა ახსოვდესთ, რომ მათ კარგი მუშაობით გავლენა გაეზრდებათ, ცუდი მუშაობით სულ დაეკარგებათ. აი ამიტომ წინასწარ უნდა ასწონდასწონონ თავისი ძალები, სამზადისი მუშაობა კარგად ჩაატარონ (იარაღი, თესლი, კარგი მიწის ამორჩევა), შეეკითხონ ხოლმე მცოდნე ხალხს (აგრონომს, მასწავლებელს, მოწინავე გლეხს) და, რაც მთავარია, დაწყებულ ბოსტანს შუაზე ხელი არ შეუშვან, მუდმივ და მუყაითად მოუარონ, არ მიატოვონ შუა გზაზე, არ დაიღუპოს დაწყებული საქმე (თავის დროზე მორწყვა, ბალახებისაგან გაწმენდა, საქონელისაგან დაცვა და სხვა). ამ ბოსტანში უნდა იყოს, რაც თვით გლეხების ბოსტნებშია (კომბოსტო, კართოფილი, კიტრი, კვახი, ბადრიჯანი და სხვა), რომ გლეხებმა შეადარონ თავისი და პიონერების მოსავლის რაოდენობა.

**ვ. იმედაძე.**

(დასასრული იქნება).



ტფილისი, მუშათა სასახლე.

# რედაქციისაგან.

სოც. აღზრდის მთავარმართ. გამგის მარიამ ორახელაშვილის ზემოხსენებული მიმართვა დაურიგდა სკოლის მოწაფეთა ორგანიზაციებს. ამ მიმართვას მოწაფეები ერთსულოვნად და დიდის ხალისით გამოეხმაურენ, და საქართველოს ყოველი კუთხიდან მოსდის წერილები მარიამს. ბავშები პირობას იძლევიან, შეასრულონ მარიამის დავალება, გამოიწერონ და გაავრცელონ ჩვენი საბავშო ჟურნალები და ზაფხულში, როდესაც სოფელში წავლენ, შეასწავლონ სოფლის ბავშებს წერა-კითხვა. რედაქცია ძალიან სწუხს, რომ ადგილის უქონლობის გამო ვერ ათავსებს ამ წერილებს ჟურნალში, მაგრამ არ შეგვიძლია ზოგიერთი ამონაწერი მაინც არ მოვიყვანოთ. აი რას იწერება მე-18 შრ. სკოლის მეორე ჯგუფის მოწაფე, პატარა რუსუდან გოგიბედაშვილი:

„მოქალაქე მარიამ, ჩვენ ვეცდებით თქვენი დავალება შევასრულოთ... მე ჯერჯერობით არ მაქვს იმდენი ცოდნა, რომ შევიძლო და ბავშებს ვასწავლო რამე, მაგრამ შემდეგ, როდესაც თქვენი დარიგების მიხედვით ვისწავლით, მაშინ კი უსათუოდ შევასრულებთ თქვენ დავალებას. მოქალაქე მარიამ, გთხოვთ ხშირად და თქვენებურად დაგვარიგოთ... ჩვენმა ჯგუფმა გადასწყვიტა ჟურნალის გამოწერა კოლექტიურად“... ამავე სკოლისა და ამავე ჯგუფის მოწაფე პატარა რევაზ ტატიშვილი იწერება: მოქალაქე მარიამ ორახელაშვილო. ზაფხულში საავარაკოდ წავიღებთ თან წიგნებს და ვუკითხავთ პატარა ბავშებს. თუ ვერ შევძლებთ, ვინმე მოგვეხმარება. გამოვიწერთ ჟურნალ „ნაკადულს“ ზოგი ინდივიდუალურად, ზოგი კოლექტიურად“. პატარა ევგენია რობაქიძე იწერება, წიგნებს ვაგროვებთ სოფელში წასაღებადო. პატარა მიტრო იწერება: რასაც ჩვენ შევისწავლით, ზაფხულში, როცა სოფელში წავალთ, იქ ბავშებს შევასწავლითო და ასე ყველა გამოუკლებლად. ყველა ჯგუფებს გადაუწყვეტიათ გამოიწერონ ჟურნალები. მარტო მე-18 შრ. სკოლის 11 მოწაფე იწერება. სწორედ ასეთივე წერილები მოდის სხვა სკოლებიდანაც, აგრეთვე საქართველოს სხვა კუთხეებიდანაც და იწერენ კოლექტიურად და ინდივიდუალურადაც. აქ მოვიყვანთ იმ კუთხეებს, რომლებმაც მეტი რიცხვი ჟურნალი გამოიწერა: **კვათანის** 4-წლედის მოწაფეებმა—10 ც. **საჩოჩიოს** 4 წლ. მოწაფეებმა—25 ც. დაბა **სენაკის** 9 წლედის II ჯგ. მოწაფეებმა —8 ც. მე-III ჯგ.—28 ც. მე-IV ჯგ.—8 ც. „პიონერი და ნაკადული“ **საგვაზაოსაბოკუჩაოს** შვიდწლედის მოწაფეებმა კოლექტიურად—7 ცალი, ინდივიდუალურად—10 ც. მანგლისის სკოლებმა—8 ც. სოფ. **მაცხოვრის-კარის** 4-წლედის მოწაფეებმა—17 ც. და სხ.

შემდგომაც ჩვენ ყოველთვის მოვათავსეთ იმ სკოლების სიას, რომლებიც კოლექტიურად ან ინდივიდუალურად გამოიწერენ ჩვენ ჟურნალებს.

აქვე მოგვყავს სოც. აღზრდ. მთავარმართ. გამგის მარიამ ორახელაშვილის პასუხი იმ ბავშებისადმი, რომლებმაც მას წერილი მოსწერეს.

## ტფილისის მე-18 შრომის სკოლის მეორე ჯგუფის მოწაფეებს და ყველა სხვებს, ვინც ჩემ წერილს გამოეხმაურა და წერილი მომწერა.

ძვირფასო მეგობრებო! მე მივიღე თქვენი წერილი ჩემი მომართვის საპასუხოდ. უსაზღვროდ გამახარა იმან, რომ ჩემი წერილი სინამდვილით გაგიგიათ, ზომები მიგიღიათ და უკვე შესდგომიხართ მუშაობას. თქვენ იწერებით, „ნაკადული“ გამოვიწერეთ ინდივიდუალურად და კოლექტიურადო. ძალიან კარგად მოქცეულხართ. ჟურნალი დაგეხმარებათ თქვენ სასარგებლო ცოდნის შეძენაში, გაგავითარებსთ და გაალრმავებს თქვენს შეგნებას. ძალიან კარგია, რომ სოფლის ბავშებისთვის წიგნებს აგროვებთ. მე მინდა გირჩიოთ, არ გადადვათ სოფლის დახმარების საქმე ზაფხულამდის. რასაკვირველია, ზაფხულში თითქმის ყველანი წახვალთ სოფელში და შეგეძლებათ პირადად მუშაობა, ტოლი ბავშების შეკრება, მათთან მეცადინეობა და წიგნების წაკითხვა, მაგრამ კარგი იქნებოდა, რომ ახლავე გააბამდეთ კავშირს იმ სოფლის სკოლასთან, სადაც ზაფხულობით მიდიხართ, სადაც თქვენი მშობლები ცხოვრობენ, ან ახლაც ცხოვრობენ თქვენი ბებია, პაპა. ამ სკოლას შეიძლება გაუგზავნოთ ის წიგნები და ჟურნალები, რომლებსაც თქვენ უკვე წაიკითხავთ. უნდა გამართოთ აგრეთვე მიწერ-მოწერა მოწაფეებთან და ურჩიოთ იმათაც, რომ იფიქრონ იმ ბავშების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა გარემოების გამო სკოლაში ვერ მოხვდენ, ასწავლონ იმათ წერა-კითხვა და დაანახონ ის, რაც ირგვლივ ხდება, ყველაზე უკეთ ამ საქმის მოწყობა-მოგვარება თქვენ შეგიძლიათ სკოლის თვითმართველობის საშუალებით.

მშრომელთა სახელმწიფო ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ ყველას მისცეს სწავლა-განათლება, მაგრამ ეს საქმე ერთობ დიდი და მძიმე საქმეა და ამ დიდ საქმეში ყველა მშრომელის დახმარებაა საჭირო, განსაკუთრებით კი სკოლის, მასწავლებლებისა და მოწაფეების.

თქვენ ჯგუფში თუ 35 ბავშია—უთუოდ, კავშირი გაქვთ 20 სოფელთან მაინც. მაშ გააბით მათთან კულტურული კავშირი, დაიწყეთ ჯერ თუნდაც სუსტი, მაგრამ მაინც უკვე დიდი, მტკიცე საქმე.

მე დარწმუნებული ვარ, ჩვენს მიწერ-მოწერას უფროსი ბავშები, ჟურნ. „პიონერის“ მკითხველები, წაიკითხავენ და ისინიც მოჰკიდებენ ხელს სოფლის დახმარების საქმეს, მოზარდი თაობისა და უკვე დიდრონების წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობისათვის მოღვაწეობას.

თქვენი კი დიდი მადლობელი ვარ გამოხმაურებისათვის. იმედი მაქვს, თქვენგან გამოვა საბჭოთა სახელმწიფოს ღირსეული მოქალაქენი, საზოგადო მოღვაწეები.

როდესაც თქვენთვის საჭირო იქნება ჩემი რჩევა, მე სიხარულით ყოველთვის მზად ვარ.

თქვენი მეგობარი **მარიამ ორახელაშვილი.**

23
ეროვნული ბიბლიოთეკა



# როგორ უნდა მოეწყოს საკინძავი სახელოსნო.

ჩვენი ქოხ-სამკითხველოები, კლუბები და წიგნსაცავები იმდენად ღარიბები არიან, რომ არ შეუძლიათ აკინძინონ ნაყიდი წიგნები, რადგანაც მათ ფული აუცილებლად საჭირო ლიტერატურის შეძენისათვისაც კი არა ჰყოფნისთ.

ამ საქმეში დახმარების გაწევა შეუძლია პიონერულ რგოლს. პიონერულმა რგოლმა უნდა დააარსოს ასაკინძავი სახელოსნო.

უპირველესად ყოვლისა მათ უნდა იზრუნონ ბინის შესახებ, თუმცა ხსენებული სახელოსნო მაინცადაინც დიდს უხერხულობას არ იწვევს ბინის მხრივ: სახელოსნოსათვის შეიძლება გამოყენებული იქნას, რამდენიმე საათით, რომელიმე ოთახი, ან კლუბის რომელიმე კუთხე. ოთახი სინათლიანი უნდა იყოს. განათება შეიძლება მხოლო ღამით მუშაობის დროს.



წიგნის შეკერვა ფანჯარაზე.

აუცილებელი პირობაა შემდეგი:

მუშაობა უნდა სწარმოებდეს მუდამ ერთსადაიმავე შენობაში.

შემდეგ რაზედაც უნდა იზრუნონ პიონერებმა, არის ის, რომ სახელოსნოსთვის იშოვონ საჭირო მოწყობილობა.

საჭიროა სამუშაო მაგიდა; ის მაღალი არ უნდა იყოს, რომ ბავშებისთვის საძნელო არ იქნეს მასზე მუშაობა. საჭიროა ერთი წყვილი სკამიც.

სხვადასხვა იარაღთა შესანახად საჭიროა იქონიოთ პატარა კარადა („შკაფი“) ან განსაკუთრებული თარო. საჭიროა კიდევ ერთი თაროც, რაზედაც უნდა დააწყოთ ის წიგნები, რომლებიც ხმარებაში გაქვთ. ის შეიძლება გაკეთდეს გრძელი ყუთისაგან, რომელსაც უნდა მოაძროთ ძირი და კედელზე ისე ჩამოჰკიდოთ, რომ კედელი მის ძირად გახდეს. მასზე შეიძლება წიგნების დაწყობა.

იარაღი: უნდა იშოვოთ რამდენიმე დანა. თვითეულ პიონერს შეუძლია სახლიდან მოიტანოს თითო დანა, რომელიც სახლში უკვე საჭირო არ არის. თუ ის ძველია, სახელოსნოში შეიძლება გაილესოს. საჭიროა ფეხსაცმელების მკერავთა დანაც და დურგლის პატარა ხერხი.

უნდა გაკეთდეს აგრეთვე ათამდე ფიცარი თაროებად, რომელზედაკ დააწყობთ იმ წიგნებს, რომლებსაც უკვე წნეხის ქვეშ გაატარებთ.

ფიცრები სუფთად უნდა იყოს გარანდული.

ეხლა საჭიროა მოვამზადოთ წნეხი, რომელიც ერთ-ერთ ძირითად ხელსაწყოს წარმოადგენს. რგოლი ძალიან უნდა შეეცადოს წნეხის შოვნას და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება უიმისოდ მუშაობა.

წნეხი შესდგება სრულიად თანასწორი ზომის ორი ძელისაგან. თვითეული მათგანი 30 დუიმს არ უნდა აღემატებოდეს სისქით და სიგანით კი 5 დუიმს.

ამ ძელებში განივად გადის რკინის ორი ხრახნი. თითო მხარიდან მეორისაკენ 3 დუიმის სიღრმით, სიმაღლით კი 20 დუიმს არ უნდა აღემატებოდეს. ამ ხრახნებზე მოძრაობს ქანჩები ისე, რომ, როდესაც წიგნები უნდა შევამტკიცოთ, ვუჭერთ ამ ქანჩებს.

წნეხის მოწყობა ძნელი არ არის, თუ მისთვის ხრახნები მოიძებნება. ძელების შუა, ზევიდან 7 დუიმის მანძილის დაშორებით, უნდა ამოიჭრას ოთხკუთხედი, სიგრძით 15 დუიმამდე და სიგანით $1/2$ დუიმამდე.

ახლა უნდა მოეწყოს ორი წყვილი პარატა ფიცრებისა, ერთი გვერდით ჩამოთლილი ისე, როგორც

სურათშია ნაჩვენები. ამონაჭერში მისი შეწევა-გამოწევით წნეხის დამწოლები უნდა მოძრაობდენ.

უნდა გაკეთდეს კიდევ ორი სქელი ფიცარი, რომლებიც დამწოლებად გამოდგებიან.

უფრო ადვილია თვით ასაკინძავი დაზგის მოწყობა. ის წნეხზე უფრო იაფი ჯდება და შეიძლება თვითონვე გააკეთოთ.



წ ნ ე ბ ი

ასაკინძავი დაზგა შესდგება ქვედა ფიცრისაგან — 24×12 დუიმით, ორი ხრახნისაგან — 20 დუიმის სიმაღლით, რომლებიც ამ ფიცარზე არიან დამაგრებული. ქანჩების მოჭერისას ჩვენ ხან ავწევთ და ხან დავწევთ ზედა ფიცარს.

წიგნების ჩამოსაჭრელად საჭიროა დანა. ეს კი უნდა იყიდოთ. უმისოდაც შეიძლება, სახაზავისა და მჭრელი დანის საშუალებით, ჩამოჭრა, მაგრამ ძნელი იქნება.

ჩამოთვლილი ხელსაწყოების გარდა საჭიროა ჩვეულებრივი ჩაქუჩი და რკინის სახაზავი მუყაოს ჩამოსაჭრელად. ასეთი სახაზავის მომზადება შეიძლება უბრალო — 2 დუიმის სიგანისა და 12 დუიმის სიგრძის თუნუქისაგან. საჭიროა კიდევ ძვლის პატარა ჯოხი, სიგანით $^3/_4$ დუიმიანი და სიგრძით 7 დუიმი — მისი გაკეთება შეიძლება აგრეთვე კარგად გარანდული ხისაგანაც, მაკრატელი ქაღალდის საჭრელად, ორი ცალი ფუნჯი — ერთი მოზრდილი, კლეისტერისათვის, და მეორე უფრო პატარა — სადურგლო წებოსათვის. დაბოლოს ორი ქვაბი, — ერთი კლეისტერის მოსახარშავად და მეორე სადურგლო წებოსათვის. სადურგლო წებოსათვის საჭიროა განსაკუთრებული ჭურჭელი; ის უნდა შესდგებოდეს დიდი და პატარა ქვაბისაგან. პატარაში უნდა ჩაისხას წებო და შემდეგ უნდა ჩაიდოს დიდში, რომელშიც წყალი იქნება ჩასხმული, — ეს საჭიროა იმისათვის, რომ წებო მოხარშვის დროს არ დაიწვას.

**მასალა:** უპირველეს ყოვლისა საჭიროა მუყაო („კარდონი"). ის სხვადასხვაგვარია: თეთრი, ყავისფერი, რუხი და ყვითელი; სისქითაც სხვადასხვა ზომისაა. მუყაო თავისი სისქით უნდა შეეფერებოდეს წიგნის სისქეს. ვინაიდან ის ძვირია, ამიტომ კარგი იქნება, რომ გამოყენებულ იქნას ხოლმე ძველი ყდები, რაც შეიძლება ბლომად მოინახოს ქოხ-სამკითხველოებში და სხვაგან.

შემდეგ უნდა გამოინახოს მაგარი, ერთფეროვანი ჩითი ყდებისათვის. ეს ჩითი უნდა იჭრებოდეს სიგანით და არა სიგრძით. ერთ არშინ ჩითში გამოდის დაახლოებით 30 ცალი ჩამონაჭერი ყდისათვის. შესაძლებელია გამოყენება აგრეთვე ძველ ყდებზე გადაკრული მატერიებისა, მაგრამ ის კარგად უნდა გასუფთავდეს, გაირეცხოს (რომ ძველი წებო მოსცილდეს), დაუთოვდეს.

საჭიროა კიდევ სუფთა ქაღალდი შიგნიდან ყდებსა და წიგნს შორის ჩასაკვრელად. ძაფი და კანაფი იხარჯება წიგნის შესაკერად. კანი უნდა იყოს მაგარი, კარგი ღირსების, ძაფი კი წვრილი და მტკიცე, იმდენად წვრილი, რომ ნემსი მისთვის მსხვილი იყოს.



ასაკინძავი დაზგა.

ყდას შეიძლება ზევიდან გადაეკრას თვით წიგნზე არსებული ქაღალდის ყდა; თუ ასეთი დაკარგულია, მაშინ შეიძლება სურვილისდა მიხედვით ამოირჩეს ლამაზი ქაღალდი და ზედ დაეკრას, მაგ.: მარმარილოს მაგვარი ქაღალდი.

სადურგლო წებო უნდა იყოს საუკეთესო ხარისხის, გამჭვირვალე; მისი მოხარშვის წინა დღეს წებო უნდა დაიმტვრეს პატარ პატარა ნატეხებად, ჩაიყაროს ქვაბში და ზედ წყალი დაისხას იმდენი, რომ მას მხოლოდ ჰფარავდეს; მეორე დღეს ის ადვილად მოიხარშება.

**კლეისტერი.** მისი მომზადება ყველაზე უფრო ადვილია ხორბლის ფქვილისაგან. ამ ფქვილს წყალში ჩაჰყრიან და ურევენ იმდენ ხანს, ვიდრე ის თხელ, წყალწყალა ცომად არ გადაიქცევა, მერე კი უნდა დაიდოს ცეცხლზე, დაესხას ადუღებული ცხელი წყალი და იქამდე უნდა ვურიოთ, ვიდრე არ შესქელდება. ამის შემდეგ კლეისტერი უკვე მზად არის. მისი მომზადება შეიძლება აგრეთვე კარტოფილის ფქვილისაგანაც, მაგრამ ის მალე ფუჭდება.

თუ როგორ უნდა აიკინძოს წიგნები, ამას შემდეგ მოგითხრობთ.

# საუბარი ბავშკორესპონდენტებთან.

ყველა ჟურნალ-გაზეთებს ჰყავს თავისი კორესპონდენტი. კორესპონდენტი ეწოდება იმას, ვინც სწერს გაზეთებში ან ჟურნალში სხვადასხვა ორგანიზაციების მუშაობის და ცხოვრების შესახებ. კორესპონდენტი მუდმივად მონაწილეობს გაზეთში და ჟურნალში და აღწერს ყოველდღიურ საქმიანობას.

ბავშთა ჟურნალ-გაზეთებსაც ჰყავს თავისი კორესპონდენტები. მათ **ბავშკორებს** უწოდებენ.

კორესპონდენტი შეიძლება იყოს ყოველი ბავში, რომელიც კი სწერს კედლის გაზეთში, ნაბეჭდ ჟურნალ-გაზეთებში პიონერთა და საერთოდ ბავშთა ცხოვრებასა და მუშაობაზე.

### აღწერე მუშაობა.

ყოველი ბავში, უპირველეს ყოვლისა, არის პიონერი. იგი მუშაობს რომელიმე კოლექტივში. მან უნდა აგვიწეროს თავისი სკოლის, წარმოების, კოლექტივის, რგოლის, ფორპოსტის მუშაობა და ცხოვრება. მაგრამ იმისათვის, რომ ეს აგვიწეროს, საჭიროა ის აქტიურ მონაწილეობას იღებდეს მთელ მუშაობაში: ისე ხომ ვერ შესძლებს სწეროს იმის შესახებ, რასაც თვითონ არ იცნობს. ბავშკორმა უნდა შენიშნოს ყველაფერი ახალი და საინტერესო მუშაობის მსვლელობაში, აგვიწეროს მიღწევები, მაგრამ არ უნდა დაივიწყოს სუსტი მხარეებიც. ზოგიერთ ბავშკორს ჰგონია: ყველაფერი, რაც ჩვენთან ხდება, კარგიაო და ცდილობს აქოს და ადიდოს იგი. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ბუზისაგან სპილოს შექმნა არ ვარგა. ბავშკორი ასე არ უნდა მოიქცეს, არ უნდა დამალოს უარყოფითი მხარე თავის მუშაობაში. ჩვენ ვიძენთ გამოცდილებას, ცოდნას შეცთომებზე, ამიტომ:

გამოამჟღავნე შეცთომები, სწერე ამის შესახებ. შენივე ამხანაგები წაიკითხავენ და შეეცდებიან ნაკლის გამოსწორებას.

ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, როცა ამხელ ამა თუ იმ ნაკლს, უნდა მიუთითო მის გამოსასწორებელ საშუალებებზედაც. მაგრამ ცუდია ის ბავშკორი, რომელიც სწერს მხოლოდ შეცთომების შესახებ, მიღწევებს კი არ ამჩნევს. ყოველგვარი მიღწევები, წარმატებებიც უნდა აღინიშნოს.

### რაზე უნდა სწეროს ბავშკორმა.

ბავშკორი იმით განსხვავდება სხვა მოზრდილი კორესპონდენტებისაგან, რომ ის სწერს პიონერების და ბავშების ცხოვრებაზე, აშუქებს იმ წრის ყოფა-ცხოვრებას, რომელშიაც თვითონ ცხოვრობს და მუშაობს.

სხვების ყოფა-ცხოვრებაზედაც შეუძლია სწეროს პიონერ-კორესპონდენტს, მაგრამ ეს მისი უმთავრესი ამოცანა არ უნდა იყოს.

ყოველ ბავშკორს, რომელიც იწყებს წერას გაზეთებში, ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი, თუ რაზე და რისთვის სწერს ის გაზეთში. თუ ბავშკორი შესძლებს ამას, მაშინ მას აუცილებლად შეუძლია საუკეთესო მასალა მიაწოდოს გაზეთს.

სკოლაში ბევრი საინტერესო საკითხია ბავშთა ჟურნალ-გაზეთებისათვის, მაგ.: როგორ მიმდინარეობს მეცადინეობა, როგორ სწავლობენ პიონერები, რა მუშაობას აწარმოებენ მოწაფეები, როგორ უყურებენ ისინი პიონერებს, როგორ მონაწილეობას ღებულობენ პიონერები სასკოლო წრეების მუშაობაში, როგორი დამოკიდებულება არსებობს პიონერებსა და მასწავლებლებს შორის და სხვა,—ყველაფერი ეს დიდად საგულისხმო და საინტერესოა.

ავიღოთ ქუჩა.

უპატრონო ბავშები ჩვენ ყველას გვინახავს. ვიცნობთ კი ჩვენ მათ ცხოვრებას? — უმეტეს შემთხვევაში არა, და, აი, ბავშკორმა უნდა აღწეროს, სად და როგორ ცხოვრობენ, რას აკეთებენ, რა აინტერესებთ ან როგორ უყურებენ ეს უპატრონო ბავშები პიონერებს.

ბავშკორს სახლშიაც შეუძლია იპოვოს დასაწერი თემა: როგორ უყურებენ მშობლები პიონერებს (მუშის, მოსამსახურის ან მდიდრის ოჯახში). გამოიცვალა თუ არა პიონერმა ყოფაქცევა მას შემდეგ, რაც მან დაიწყო მუშაობა ბავშთა კომორგანიზაციაში? ეხმარება თუ არა ის მშობლებს? რა სამუშაოს ასრულებს იგი შინ? ასრულებს თუ არა იგი თავის კანონებს დს ჩვეულებებს (თუ დგება ადრე, იბანს თუ არა ხელ-პირს, ვარჯიშობს თუ არა, უწყობს თუ არა ხელს ჰიგიენის დაცვას ოჯახში და სხვ.).

ყველა ეს საინტერესო საკითხებია, რომელზედაც ბავშკორმა სათანადო პასუხი უნდა გასცეს.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ შენიშვნებისათვის მასალებს ბავშკორი ყოველგან იპოვნის, საჭი-

როა ოღონდ, რომ მას შერჩევის და მოძებნის უნარი ჰქონდეს.

### სწერე იმის შესახებ. რაც თვითონ იცი.

არასოდეს არ დაემყარო იმას, რაც გაგიგონია. სწერე მხოლოდ იმის შესახებ, რაც თვითონ კარგად იცი, რასაც თვითონ იცნობ კარგად. სანამ რისამე შესახებ შენიშვნას დასწერდე, ჯერ ფართედ უნდა გაეცნო მის ვითარებას.

უკვე საკმაოდ გავარკვიეთ, თუ რა უნდა სწეროს ბავშკორმა, ეხლა კი ვთქვათ იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს მან, რომ კარგი შენიშვნა დასწეროს.

უპირველეს ყოვლისა, შეიძინე შენთვის ჩასაწერი წიგნაკი და ფანქარი. ყოველივე ეს თან უნდა იქონიო ყოველთვის; ეს არის შენი იარაღი. თუკი პიკორი ყოველთვის თან იქონიებს ქაღალდსა და ფანქარს, ყოველ წამს შეუძლია ჩასწეროს ყველაფერი, რასაც საჭიროდ დაინახავს.

ამასთანავე ბავშკორმა ყოველთვის უნდა აღნიშნოს წიგნაკში ორი კვირის ან ერთი თვის მუშაობის გეგმა.

ჩაწერაც ამ გეგმის მიხედვით უნდა აწარმოოს.

ასეთი ჩაწერა ძალიან სასარგებლოა: ყოველთვის ეცოდინება ბავშკორს, რა უნდა გააკეთოს, ან რა გააკეთა უკვე, როგორია მისი მასალის ხვედრი და სხვ.

### უკეთესია ცოტა, მაგრამ კარგი რამ გააკეთო.

ბავშკორობა იმას კი არ ნიშნავს, რომ მრავალრიცხოვანი შენიშვნა ჩასწერო. გახსოვდეს ილიჩის სიტყვები: „უკეთესია ცოტა და კარგი“. თვეში ერთი ან ორი შენიშვნა დასწერე და კარგად დაამუშავე იგი. ასეთი მუშაობა სარგებლობას მოგიტანს შენც და სხვებსაც. ნუ დაიბნევი, თუკი ერთ რაიმეზე სწერ შენიშვნას, მაშინ ნუ მოჰკიდებ ხელს მეორეს, მესამეს.

### იყავ ბეჯითი.

არის ასეთი შემთხვევებიც: ბავშკორები შენიშვნებს მეტად დაგვიანებით აგზავნიან. მაგ. „პიონერი“-ს რედაქცია იანვარში ღებულობდა შენიშვნებს, თუ როგორ ჩატარდა ოქტომბრის დღესასწაული. ამ შენიშვნამ დაიგვიანა რამოდენიმე თვეს. რასაკვირველია, გაზეთებისათვის დაგვიანებულ შენიშვნას აღარ აქვს მნიშვნელობა, აღარ არის საინტერესო.

ბავშკორი თავის დროზე და მოხდენილად უნდა სწერდეს შენიშვნებს, არ უნდა გადასდოს ის, როგორც კი დაინახავს რაიმე საინტერესოს, პიკორი უნდა გაეცნოს მას კარგად, უნდა ჩასწეროს იგი მაშინვე.

როგორც კი დასწერს შენიშვნას, მაშინვე უნდა გაგზავნოს რედაქციაში. თუ დააგვიანა, სჯობს აღარ გაგზავნოს, ვინაიდან ასეთ შენიშვნას უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა.

### შეისწავლე ჩაწერა.

ყოველ ბავშს შეუძლია გახდეს ბავშკორი, მხოლოდ ამისათვის კი საჭიროა წერის სწავლა. ბავშკორი ყოველთვის თვალყურს უნდა ადევნებდეს იმ შესწორებებს, რომლებსაც რედაქცია უკეთებს მის შენიშვნებს. მან უნდა აღნიშნოს, რა გაასწორეს, რა ამოშალეს. მაშინ შენიშვნას უკეთესად დასწერს, ეცდება, შემდგომ შეცთომები აღარ დაუშვას.

ბეჯითად მოეკეცი დანარჩენ შენიშვნებსაც. შეისწავლე, გაარჩიე, რომელია კარგად დაწერილი და რომელი ცუდად. გადაათვალიერე ჟურნალ-გაზეთებში „ჩვენი ფოსტა“, იქ კარგად მიაქციე ყურადღება ზოგიერთ მითითებებს, რომელიც შენთვის საგულისხმოა. მეტად მნიშვნელოვანი შენიშვნა შენს წიგნაკში ჩაიწერე. ყველა შენიშვნა არ თავსდება გაზეთში ან ჟურნალში. ჩვეულებრივად, ათი გამოგზავნილი შენიშვნიდან მხოლოდ ერთი ან ორი იბეჭდება, დანარჩენი კი არა — ან იმიტომ, რომ ცუდი დაწერილია, ან საკმაო ადგილის უქონლობის გამო. ზოგიერთი ბავშკორი ასეთ შემთხვევაში ამბობს: „არ მოათავსეს ჩემი შენიშვნა და მეტს აღარ დავწერ“.

კარგი პიკორი ასე არ იტყვის.

არ დაეცე სულით, როდესაც ვერ შეასრულებ დასახულ მიზანს. არ გაუშვეს შენი შენიშვნა, — ეცადე შემდგომ დასწერო უფრო საინტერესო და იმას მოათავსებენ.

### არ დაივიწყო კოლექტივი, სკოლა.

ცუდი ბავშკორია ის, რომელიც ჩამორჩება თავის სკოლაში, კოლექტივში, რგოლში. ჩვენ უკვე ვთქვით, რა უნდა დავწეროთ მის მუშაობაზე, მაგრამ არ შეგიძლია დასწერო, როცა შენ თვითონ არ მიიღებ მონაწილეობას. ამრიგად ბავშკორმა არ უნდა დაივიწყოს სკოლაში, კოლექტივში, ფორპოსტში მუშაობა. ის უნდა ეცადოს ხელი შეუწყოს კედლის გაზეთს: სწეროს მასში, დაეხმაროს და უხელმძღვანელოს მის შედგენას და სხვ.

25
ეროვნული ბიბლიოთეკა



# მუშაობა სკოლაში

## რა უნდა ახსოვდეს თვითეულ მოსწავლე პიონერს.

1. პიონერო, ისწავლე! შენი მეხუთე კანონი ლაპარაკობს: „პიონერი მიისწრაფის ცოდნისაკენ". ცოდნა და გამოცდილება ძალაა მუშათა კლასის საქმისათვის ბრძოლაში.

2. შეკავშირდი სხვა პიონერებთან ერთად ფორპოსტში, პიონერები სკოლაში უნდა იყონ მეგობრები და შემჭიდროებულნი.

3. აცნობე ფორპოსტის კრებას სკოლის ყველა ნაკლი, რათა გამოსწორებულ იქნას ის.

4. დაეხმარე თვითმართველობას მუშაობაში. თვალყური ადევნე, რომ ის მუშაობდეს პიონერულად, მიიღე მონაწილეობა კლუბის, წრეების და კომისიების მუშაობაში.

5. სწერე ხშირად კედლის გაზეთში; თუკი ის არ გაქვთ,-მაშინ საჭიროა მისი დაარსება; მოიტანე და გამოჰკიდე სკოლაში პიონერთა გაზეთები.

6. დაუმეგობრდი შეუკავშირებელ ბავშებს. გახსოვდეს მეთხე კანონი: „პიონერი რაზმავს გარშემო მყოფ ბავშებს და მათთან ერთად იღებს მონაწილეობას გარემოცულ ცხოვრებაში".

7. დაისწარი მოსწავლეები პიონერთა, კომკავშირელთა კრებებზე, საღამოებზე და დემონსტრაციებზე, პოლიტიკური კამპანიის ჩატარების წინ უამბე მათ მის შესახებ, იშოვნე წიგნი, პლაკატები, მოწოდებები.

8. აწარმოე ბრძოლა ლანძღვა-გინების, თამბაქოს წევის, უწესრიგობის წინააღმდეგ. ამხანაგების თავისუფალი დრო შეავსე კარგი თამაშობით, სიმღერებით, ფიზკულტურით.

9. დაეხმარე იმ ამხანაგებს, რომლებიც სუსტად სწავლობენ—ნუ უცდი მათ თხოვნას.

10. პიონერი წესიერია. წიგნები რიგზე აქვს, სკოლაში არ იგვიანებს; გაკვეთილებს თავის დროზე ამზადებს.

## 72 შრომის სკოლის ფორპოსტი

ერთი წელია, რაც 72 შრომის სკოლაში არსებობს ნორჩ პიონერთა ფორპოსტი. ეს ფორპოსტი საკმაოდ მომზადებულად უნდა ჩაითვალოს.

პიონერთა რიცხვი 70 უდრის. აგრეთვე გყავს ოქტომბრელებიც.

გამოდის კედლის გაზეთი „ახალგაზრდა მშენებელი", გვაქვს სამკითხველო, რომელიც დიდ დახმარებას უწევს ბავშებს გათვითცნობიერების დარგში.

მომავალში ჩვენი მუშაობა უფრო შინაარსიანი და დამაკმაყოფილებელი უნდა გავხადოთ.

იქაური

## სხვებს არც ჩვენ ჩამოვუვარდებით.

1924 წელს 107 შრომის სკოლაში (გერმანელების სასწავლებელში) დაარსდა ფორპოსტი. ბავშები დიდი ხალისით ეწერებოდენ და ძლიერ იყვნენ დაინტერესებული მისი მუშაობით. ფორპოსტმა იმუშავა 6 თვის განმავლობაში, შემდეგ კი მის მაგიერ 1925 წელს კოლექტივი დაარსდა. ამ კოლექტივს ძალიან ეტყობა დღეს გამოცოცხლება. ახლა 40 ბავში არის მასში ჩაწერილი. ხელძღვანელის საუბარს სიამოვნებით უგდებენ ყურს. ოქტომბრის ზეიმი მეტად კარგად იყო მოწყობილი ჩვენ კოლექტივში. დავდგით გერმანულ ენაზე წარმოდგენა „წითელი შვილიშვილები", მოვაწყვეთ სამკითხველო. მხურვალე მონაწილეობა მიღეს ჩვენი კოლექტივის წევრებმა ბავშთა დამხმარე სამდღიურის ჩატარებაში.

პიონერი დ. გურგენიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშვთა შემოქმედება

## ლენინის სურათთან.

ლენინის სურათს როცა დავყურებ,
თვალიდან ვაფრქვევ ცეცხლის ნაპერწკალს,
მასზე ოცნება დღეს ვერ დავხურე,
ვუმართავ კოცონს ბრწყინვალე ვარსკვლავს.

—

„ულიანოვ-ლენინ“—დღეს ეს წარწერა
გამახსენდება ცეცხლოვან წრიდან,
ფიქრები მძიმე მე დამაწვება,
ბალღამი მწვავე გამოიწრიტა.

—

ტეხილი შუბლი თაფლია სულის,
მოჰქრის თვალიდან ცეცხლის ისრები,
დღეს მის ბაგეზე მოსჩანს წარსული,
ოხვრით ვიგონებ სისხლის დაისებს.

—

დიადო ლენინ! იბრძოდი მძლავრად
და არ გიყვარდა დახევა უკან,
შენი სიტყვები ცეცხლისა რკალად
ავარდებოდა, როგორც ვულკანი.

—

იზიდავს სახე, მზესავით წმინდა,
ნორჩ პიონერებს ანდამატივით,
როს დაიბადე გრძნეულ მითიდან,
ისმოდა გრგვინვა არდანატირი.

„აჭარელი სელიმ“

## 9 იანვარი.

სდგას იანვარი, ცა ფიფქსა ათოვს,
ირგვლივ ყინვაა გამეფებული...
და ცივი ქარი, ვითა ისარი,
ჰქრის და სისინებს გამწარებული...
შავი ღრუბლები, შორს გაფანტულნი,
ცაში წუხილით მირბი-მორბიან,
და ძირს ქუჩაში წვიმა და თოვლი
ერთმანეთს შორის მიხტი-მოხტიან...
აგერ ქალაქში, მძიმე ნისლის ქვეშ,
მშრომელი ხალხის ტალღა მისცურავს
და მათ ირგვლივ კი ქარი სისინებს
გამწარებული... ოჰ!.. როგორ ყინავს!..
მშრომელი ხალხი ცოლით, შვილებით,
მეფის სურათით, ძვირფას ხატებით,
მიდის თვის მეფის სასახლისაკენ,
მძიმე ნისლის ქვეშ... შველის ღრმა რწმენით!...
წინ ამ მშრომელ ხალხს, დაიმედებულს,
მიუძღვის ნელა მღვდელი გაპონი..
ხალხი ფიქრებში მისცურავს ნელა,
ჰგონიათ, მეფით იქნება შველა!...
აგერ ცოტაც—და გამოჩნდა ნათლად
მეფის საზამთრო სასახლე დიდი.
ხალხი შეიძრა, ოდნავად წყნარი,
ჩაფიქრებული და თანაც მშვიდი...
უფრო და უფრო ხალხის სძგერს გული,
დაჩაგრულთ შველის აქვთ სიხარული.
მაგრამ მის ნაცვლად გაპონის გულში
რა ოინები არს ჩამარხული!!
მეფის სასახლის ალაყაფის კარს
მიუახლოვდა მშრომელთა ჯგუფი...
ის იყო წარსდგა გაპონიც გვერდით,
რომ მეფის ჯარმაც აიღო შუბი...
და შველის ნაცვლად პროლეტარიატს
თავს დააყარეს მთლად ტყვია ცხელი...
სისხლმა დაფარა იქაურობა,
მუშებს დაუდგათ დღე მწარე, ბნელი!..
სუსხიან დღეში სასახლის ახლოს
მრავალი მუშა ჰკვნესის დაჭრილი.
სისხლმა შეღება ფართე ქუჩები,
რომლებიც მკვდრებით არის გავსილი.
ასე დაღამდა ცხრა იანვარი,
მშრომელთა სისხლით გამძღარ-დამთვრალი...
შემდეგ ბინდისას ქარმა დაჰქროლა,
თან გაიტაცა ხალხთ სამართალი!..

პიონერი ვახ. ძამაშვილი

26
ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერთა აღთქმა.

მშრომელთა შვილნი აწი ვზეიმობთ
ლენინურ მიზნით გულანთებულნი,
ჩვენ ვართ სიმართლის ნორჩი ყლორტები,
ძმობის ბაღნარში გალაღებულნი.
ჩვენ ვართ შვილები ტანჯულ მამების,
ჩვენ ვართ ფოლადნი, ნაწრთობნი წყალში,
ჭეშმარიტების მოსაპოვებლად
მყის შევიჭრებით მძლე ცეცხლის ალში.
და არც შევდრკებით მტერთან ბრძოლაში,
ვფიცავთ ლენინურ წმინდა სიტყვასა,
ჩვენ გადავთელავთ ეკლიან უფსკრულს
და დავადგებით ჯვარედინ გზასა.
თუგინდ გრიგალი ზღვას აშფოთებდეს,
ნაპირზე სცემდეს ტალღა ტალღაზე,
ბნელი ღრუბლები სჭექდენ საზარლად,
იკლაკნებოდეს ელვა შავ ცაზე,
დედამიწას და პლანეტებს შორის
წონასწორობა იკარგებოდეს,
შავი ღრუბლების არევ-დარევა
ყველა სულდგმულსა გულს უღონებდეს,
ღონემიხდილნი, დალაჩრებულნი
არსებობისთვის ველარ იბრძოდენ,
მუხლმოდრეკილნი, შეშინებულნი
სტიქიის ღელვას ელოდებოდენ,—
ჩვენ დავუძახებთ: „ჰეი, ლაჩარნო,
ჩვენთან ჩადექით წითელ რიგებში!
სისხლით მოსვრილი დროშა სიმართლის
მხნედ დაიკავეთ, მშრომელნო, ხელში!“
და მერე თუნდა ქარის ტალღებმა
ჩაგვყაროს სადმე ბნელ უღრან ხევში,
მაინც ეს დროშა თან ჩავიყოლოთ,
რადგან ლენინმა დასტოვა ჩვენში.
მაშ ოფლი ვღვაროთ შრომის ტაძრებში,
გამუდმებულად გულს მონადენი,
ძველი ქვეყანა გავანადგურეთ
და მომავალიც ჩვენია, ჩვენი!

გიორგი შალვაშვილი·

# გაზაფხულის ყვავილებს.

ჰე, ნუ სტირით, ყვავილებო,
ნუ ჩამოგდით ცრემლი მწარე:
მალე თქვენ მტანჯველ ზამთარსა
გაეთხრება ღრმა სამარე.
მალე მოვა გაზაფხული
და ჩვენ ყველას გაგვახარებს,
აყვავება ველ-მინდორი
და ბუნება გაიხარებს.
ფრთებგადაშლილ მიდამოზე
ხის ფოთლები იშრიალებს,
დაქანდება წყარო მთიდან
და კორდ-ველზე ირაკრაკებს.
მალე ისევ გაიშლებით,
გაზაფხულის ყვავილებო,
და ყველასთვის შეიქნებით
საყვარელი ტურფა მდელო.
დაღვრემილი მთა და ბარი
ათასფერად აყვავდება,
და ბულბული მგალობელი
ვარდის შტოზე ამღერდება.

ვანო მირიანაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეცნიერება და ტექნიკა



## უდიდესი სახლი ქვეყნიერებაზე.

რასაკვირველია, ყველას გაუგონია ნიუ-იორკის ცადმბჯენი სახლების ამბავი. ამ ქალაქში 8 მილიონი მცხოვრებია, მაგრამ ნიუ-იორკის ყველა ფაბრიკის და ქარხნების მუშები კი არ ცხოვრობენ ქალაქში, ისინი ცხოვრობენ ახლომახლო მიდამოებში და მხოლოდ სამუშაოდ მოდიან ქალაქში. ამნაირად ნიუ-იორკში სამუშაო საათების დროს 15 მილიონი კაცი ჩამოდის. საქმის დღეს შეერთებული შტატების უდიდეს ქალაქში 23 მილიონზე მეტი კაცი იყრის თავს. ამდენი ხალხის დატევა ადვილი საქმე როდია. ამიტომაც აშენებენ იქ მრავალსართულიან სახლებს.

ჰუდზონის რკინის გზის სახლი 22-სართულიანია. წყალსადენი მილები ამ სახლში 25 კილომეტრია, ელექტრონის მავთულების სიგრძე 180 კილომეტრია, ელექტრონის ლამპა 30.000 ცალია, კარები და ფანჯრები 5000 აქვს.

ნიუ-იორკის საკრედიტო საზოგადოების სახლი 33 სართულია. დამზღვევი საზოგადოების სახლი „მეტროპოლიტენი" 55-სართულიანია. ამ სახლის სიმაღლე 208 მეტრს უდრის, კედლებზე გადაკრული აქვს მარმარილოს ქვა. ქალაქის რატუშა (ქალაქის თვითმართველობის სახლი) 40 სართულია. შიგ 33 ლიფტია (ზედა სართულებში ხალხის ასაყვან-ჩამოსაყვანი მანქანა). ვულვორტის საზოგადოების (სავაჭრო საზოგადოება) ცადმბჯენი სახლი 56-სართულიანია, სიმაღლით 240 მეტ. უდრის; მისი აშენება დაჯდა $11\frac{1}{4}$ მილ. დოლარი (დოლარი უდრის 1მ.-98კ.).

ბევრი ამნაირი უზარმაზარი სახლია ნიუ-იორკში, მაგრამ ახლა იქ კიდევ უფრო დიდ სახლს აშენებენ, რომელიც უდიდესი სახლი იქნება დედამიწის ზურგზე. ეს სახლი იქნება 65-სართულიანი. 4 სართული მიწაში იქნება ჩაშენებული. სულ ქვედა, ძირის სართულში, მიწაში მოთავსდება შენობისათვის საჭირო ყველა მანქანები: განათებისათვის, გათბობისათვის, წყლის გასაყვანი; მეორე სართულში—საწყობები, რესტორანები, საპარიკმახეროები; მიწის ზევით პირველ სართულებში იქნება—მაღაზიები და სხვადასხვა სავაჭროები, ზევით კი სხვადასხვა დაწესებულებები მოეწყობა. ბინები ამ სახლში არ იქნება. ბინები რომ მოეწყოთ, ამ სახლში 26 ათასი კაცი



დაეტეოდა. შენობაში იქნება მოწყობილი ავტომატიური ფოსტა. წერილს ჩააგდებ ქვევით, შესასვლელ კარებთან, ყუთში, და მანქანა აიტანს იმ დაწესებულებაში, რომლის მისამართიც იქნება ზედ დაწერილი. იქვე იქნება რადიოსადგური და შეიძლება მოისმინოთ მთელი ქვეყნის ახალი ამბავი. მთელი მოძრაობა ამ სახლში იქნება ლიფტის (ასაყვანი მანქანა) საშუალებით. კიბეები მხოლოდ ხანძრის საშიშროებისათვის არის გაკეთებული.

## როგორ იცქირებიან ფრინველები.

ადამიანი თუ ერთ რამე საგანს უცქერის, სხვა შორეულ საგნებს ბუნდოვანად ხედავს. თუ საგანს დიდხანს უცქერი ახლოს, შემდეგ, როდესაც თვალს სხვა საგანზე გადიტან შორს, პირველ წუთს ვერაფერს ვერ დაინახავ: თვალი ჯერ მანძილს უნდა შეეჩვიოს.

ამნაირად აქვს თვალები მოწყობილი ყველა ძუძუმწოვარ ცხოველებს.

ფრინველებს კი სულ სხვა თვისების თვალები აქვთ. ფრინველი ერთნაირად ხედავს შორეულ და ახლობელ საგნებს და ეს განსაკუთრებული თვისება ძალიან შველის მას. როდესაც ფრინველი ნადირობს სხვა ფრინველზე, ან მწერზე, მანძილი მასა და მის მსხვერპლს შორის სწრაფად და შეუჩერებლად იცვლება. ადამიანის ან მხეცის თვალებს ამნაირ მდგომარეობაში მოუხდებოდა შეუჩერებლივ შეჩვეოდა ახალ მანძილზე ხედვას და თვალი სწრაფად დაეღლებოდა, ფრინველს კი სრულიადაც არ ეღლება.

ფრინველების მხედველობის შესწავლას და დაკვირვებას ბევრი დრო მოახმარა ამერიკელმა მეცნიერმა **ოსტინ კლარკმა** და საყურადღებო დასკვნა გამოიყვანა. ფრინველს სიშორე არ აბრკოლებს და ერთნაირად ხედავს ყოველ პაწია ფოთოლს, ყოველ შტოს. ამიტომაც მთელი ქვეყნიერება მას ეჩვენება ერთ ნათელ, დაყოფილ ხაზებიან ბადედ.

ამნაირი თვისების მხედველობისათვის ფერადი საგნები ითქვიფება გარემოცულ სივრცეში და ძნელი გასარჩევია.

კლარკის აზრით, სწორედ ამიტომ არის, რომ მამალი ფრინველები ასე ფერადი ბუმბულით არიან შემკულნი: მამლები ხშირად მიფრინავენ ბუდიდან და საშიშროება მოელისთ მტაცებელი ფრინველებისაგან, ფერადი ბუმბულის წყალობით კი მათ ვერ ამჩნევენ მფრინავი მტრები.

დედლები უმეტეს ნაწილად ბუდეებში სხედან. ფურცლები იფარავს მათ მტაცებელი ფრინველებისაგან, მაგრამ საშიშროება მათ მოელის მტაცებელი ნადირისაგან; ამიტომაც არის, რომ დედლები მონაცრისფერო არიან, ითქვიფებიან გარემოცული ფოთლების ფერებში და უჩინარი ხდებიან მიწიერი მტრებისათვის.

## გამოიცანით!

ყველასთვის ვარ ეტლიც, ცხენიც,
ბენზინისგან მიხურს გული,
ვინც ჩემზე ზის და სეირნობს,- -
რჩება ჩემით მოხარული.
ცეცხლის თვალებს ვაბრიალებ,
შორს ანათებს ჩემი შუქი,
ქუჩაზე რომ მივგრიალებ,
უკან მრჩება მტვერის ბუქი.

ყოველ მხრიდან დახურული ვარ,
მხურავს რკინის კიდობანი,
ზევიდან მაქვს წერტილებზე
დაწერილი ა-ნი, ბ-ანი.
გვერდით მილი მიკიდია,
თავზე მადევს ორი ზარი,
რომ შორეულს ებაასო,
მე ვარ შენი მეგობარი.

დ. მარიჯანიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟურნალი „წითელი სხივის" და „პიონერის" 1926 წლის შინაარსი:

## I. ლექსები:


**კ. ლორთქიფანიძე**
ბელადს № 1 გვ. 2
თებერვალი № 2, გვ. 1
1 მაისი № 5, გვ. 2
ზაფხული სოფელში № 6, გვ. 1
პიონერები ბანაკად № 7, გვ. 1
ქუჩის ბავშვები № 8, გვ. 6
ოცდაექვსი № 9, გვ. 7
პიონერების მარში № 1 გვ. 10
ოქტომბრისთვის № 2 გვ. 3
სინათლის ქალაქი № 3 გვ. 9
მებრძოლი პიონერი № 4 გვ. 7
ჩვენ მოვდიოდით ბრძოლით № 5 გვ. 2
ზამთრის ღამე № 6 გვ. 3

**შ. ქარიშხლიშვილი**
მაშინ № 1 გვ. 4
ლენინს № 2 გვ. 21

**ს. ურუშაძე.**
ცხრა იანვარი № 1 გვ. 31

**ს. ერთაწმინდელი.**
თებერვლის 25 № 2 გვ. 3
ზაჰეს № 9 გვ. 11

**საფო მგელაძე**
გაზაფხული № 4 გვ. 9

**დ. ელიოზიშვილი**
ნორჩი პიონერი № 2 გვ. 7
მიყვარხარ, დიდო ლიახვო № 5, გვ. 11
ზღვა აღელვდა № 6 გვ. 9
იყავ მზად № 5 გვ. 22

**ე. პოლუმორდვინოვი**
თებერვლის ქარმა გადაირბინა № 2 გვ. 7
ქალი გამარჯვებული № 3 გვ. 18
პიონერი სოფლად № 5 გვ. 20
ტყის ფოთლები № 8 გვ. 6
ზღვას № 9 გვ. 10
ოქტომბრის დღეები № 2 გვ. 10
ახალგაზრდობა № 5 გვ. 7

**ჟ. მ-ნი**
27 თებერვალი № 2 გვ. 29

**ნ. პარისელი**
კომუნის ძეგლი № 3 გვ. 1

**გ. რობიტაშვილი**
პარიზის კომუნას № 3 გვ. 4
ღამე № 6 გვ. 19

**ჟ. მდივანი**
გაზაფხულისაკენ № 3, გვ. 4
პირველი მაისი № 4 გვ. 1
ოქტომბერი № 2 გვ. 20

**ონ. ქვიტირელი**
ფიქრები სოფელზე № 7 გვ. 3

**თ. ჩქარეული**
კარლ ლიბკნეხტის ხსოვნას № 1 გვ. 4
ახალგაზრდობას № 9 გვ. 3
შემოდგომა სოფელში № 1 გვ. 10

**გ. სიოშვილი**
ლენინი და ქუჩის ბავშვები № 1 გვ. 18

**დ. მარიჯანიძე**
საღამო ზღვაზე № 9 გვ. 7

**ე. რომელაშვილი**
პიონერებს — № 1 გვ. 15

**მ. გველესიანი**
პირველი მაისი № 5 გვ. 9


## II. მოთხრობები


კ--ი
ინდოელების ბელადი № 1 გვ. 13

**დიომიდე ანთაძე**
ნაზია № 1 გვ. 21
ვაშა პატარა შოფერს № 7 გვ. 4

**პ. მ.**
პატარა ესკიმოსი კიში (თარგმანი) № 1 გვ. 25
საიდი და ადინდა (თარგმ.) № 5 გვ. 2

**დ. თურდოსპირელი**
არსენ ჯორჯიაშვილი № 2 გვ. 4
არაზიდო № 6 გვ. 10
ჩემი ცხოვრების გარიჟრაჟზე № 8 გვ. 3

**ჟ. მდივანი**
პიონერი ქიტო № 2 გვ. 8
ჯემალ № 9 გვ 8

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნ.**
მამონტების სასაფლაო (თარგმ.) № 2 გვ. 10
განგრძობა № 3 23
**კ. ლორთქიფანიძე**
გატეხილი თოფი № 3 გვ. 5
ახალი ცხოვრებისაკენ № 6 გვ. 1
**ე. პოლომორდვინოვი**
სიცოცხლე ცეცხლში № 4 გვ. 6
ფილიკას მოგზაურობა № 8 გვ. 7
ნაცრისფერი ავტომობილი № 1 გვ. 11
**X-ი**
102 (თარგმ.) № 4 გვ. 9
ჰანსი, მისი მამა და მამის ზღაპრები (თარგმ.) № 7 გვ. 10
განგრძობა № 8 გვ. 18
**ს. ერთაწმინდელი**
თრიალეთის კალთებზე № 5 გვ. 10
განგრძობა № 6 გვ. 14
ბარიკადზე № 1 გვ. 5
განგრძობა „№ 2 გვ. 11
უპატრონონი ვერის ხიდზე № 4 გვ. 3
**გ. პარკაძე**
უხვი მასპინძელი № 9 გვ. 4
**ჯეკ-ლონდონი**
იდეისათვის (თარგმანი) № 9 გვ. 12
**ლ. გუმილევსკი**
მეორე რევოლუცია (თარგმანი) № 2 გვ. 4
**დ. კარბელაშვილი**
სილვერი (თარგმ.) № 3 გვ. 2
განგრძობა № 4 გვ. 10
განგრძობა № 5 გვ. 3
განგრძობა № 6 გვ. 4
**ბიჭიკო**
თედო ხომ პიონერია „პიონერი“ № 5 გვ. 8
**მ. ფრიჩე**
„მაინც ბრუნავს“ № 6 გვ. 9

# III ბავშთა კომუნისტური მოძრაობა

**მარიამ ორახელაშვილი**
სალამი სრულიად საქართ. კომკავშირის მერვე ყრილობას № 1 გვ. 1
იყავ ლენინელი ბრძოლაში, შრომაში, სწავლაში № 1 გვ. 2
ნორჩი თაობა უნდა გაჰყვეს ოქტომბრის გზას № 2 გვ. 2
**გ. მ**
მუშაობა უპატრონო ბავშთა შორის № 1 გვ. 19
**შ. ტაბიძე**
საქართველოს პიონერთა ორგანიზაცია № 2 გვ. 16
რა უნდა გავაკეთოთ № 1 გვ. 3
**შ. კ.**
წინამძღოლი და სკოლის ფორპოსტი № 2 გვ. 21
**გ. აბესაძე**
ჩვენი წითელი ჯარის მომავალი მეთაურები № 5 გვ. 15
**უ. ფრან-ლი**
ლენინური კომკავშირის მიღწევები და მისი მომავალი მუშაობა № 2 გვ. 22.
**შე-ლი**
რა დაადგინა ს. ა. ლ. კ. კ. მე-8 ყრილობამ სკოლაში პიონერთა მუშაობის შესახებ № 3, გვ. 29
ბავშთა მე-VI საერთაშორისო კვირეული № 8 გვ. 1
პიონერები სკოლაში № 9 გვ. 17
**შ. რ.**
პიონერ-მოძრაობა და სკოლა № 4 გვ. 28
**შანი**
საზაფხულო მუშაობისათვის № 6 გვ. 25
როგორ უნდა იქცეოდეს პიონერი ოჯახში № 8 გვ. 20
ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე № 9 გვ. 1
კედლის გაზეთი და მისი ამოცანები №, 3 გვ. 15
ბავშთა უპატრონობასთან ბრძოლა № 4 გვ. 9
**X**
ჩვენი ძმები მსოფლიოში № 8 გვ. 21
" " № 9 გვ. 20
" " № 1 გვ. 18
ეხმარებიან სოფელს № 1 გვ. 20
ჩინელი პიონერების შეტაკება ჟანდარმებთან № 2 გვ. 21
პიონერების ცხოვრება და მუშაობა № 3 გვ. 18
ბოლგარეთის ბავშები № 4 გვ. 19
პიონერები აღმ. ჩინეთის რკ. გზის ხაზზე № 4 გვ. 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა


ბავშვებით ვაჭრობა უნგრეთში—№ 6, გვ. 15

პიონერების ცხოვრება და მუშაობა № 6 გვ. 17

**პ. ქ-ძე**

„შობის დღესასწაული“ და ახალი ყოფა-ცხოვრება „პიონერი“ № 6 გვ. 2

**ევ. ნათენაძე**

როგორ ვმუშაობთ-„პიონერი“ № 1 გვ. 21

**ნ. ხონელიძე**

წინ მივიწევთ-„პიონერი“ № 1 21

**ნოვინი**

ბავშთა კომუნისტური მოძრაობა საფრანგეთში „პიონერი“ № 3 გვ. 19

პიონერი ოჯახში“ № 4 გვ. 17

პიონერი ოჯახში № 5 გვ. 10

პიონერ-კომკავშირელი № 6 გვ. 13


## IV. მსოფლიო რევოლუციონური მოძრაობა.


**შანი**

დიდი ბელადი № 1 გვ. 2

პარიზის კომუნა და ახალგაზრდობა № 3 გვ. 2

პირველი მაისი № 4 გვ. 2

ბრძოლის და გამარჯვების 9 წელი-„პიონერი“ № 2 გვ. 16

**ლ. კ—ი**

9 იანვარი № 1 გვ. 29

**ერგმორი**

25 თებერვალი № 2 გვ. 2

**შ. შე-ლი**

საუბარი 1905 წლის შესახებ № 2 გვ. 25

**ს. ერთაწმინდელი**

დეკემბრის გმირები 1825-1925 № 2 გვ. 30

**მ. არვ.**

მუშა-ქალების დღე № 3 გვ. 18

**X**

მუშათა ბრძოლა ინგლისში № 5 გვ. 23

გადატრიალება პოლონეთში № 5 გვ. 25

რა ხდება ჩინეთში-„პიონერი“ № 2 გვ. 22

გარდაიცვალა ამხ. ლ. კრასინი „პიონერი“ № 5 გვ. 1


## V. მუშაობა სკოლაში


**შანი**

პიონერის პირადი სწავლა № 5 გვ. 21

სწავლისაკენ-„პიონერი“ № 1 გვ. 16

სასკოლო კლუბი № 5 გვ. 13

**X**

შეკერეთ სამგზავრო ჩანთა-წ. ს. № 5 გვ. 31

რა უნდა წავიკითხოთ-„პიონერი“ № 2 გვ. 24

**ვ. ტ.**

პიონერის პირადი სწავლა-„პიონერი“ № 6 გვ. 14

**მანი**

რა უნდა წავიკითხოთ-„პიონერი“ № 6 გვ. 24


## VI ბუნებისმეტყველება


**ე. პოლუმორდვინოვი**

რაჭა № 3 გვ. 10

„ № 4 გვ. 22

**პ. მ**

როგორ მზადდება ფანქარი № 3 გვ. 19

**თ. ბ.**

გაზეთის ფურცელი (თარგმ.) № 4 გვ. 29

„ „ № 5 გვ.

„ „ № 6 გვ. 28

**ნ. კეცხოველი**

ქართლიდან ყელის ტბამდე № 6 გვ. 19

„ № 7 გვ. 17

მოსავლის დღე № 9 გვ. 22

**ჟუჟუ**

როგორ მოვაწყოთ ერთი შესანიშნავი დემონსტრაცია № 6 გვ. 26

**მ. მ ანი**

თქმულება ფინიკიელ მეზღვაურებზე № 7 გვ. 26

29
ეროვნული ბიბლიოთეკა

**ს. ერთაწმინდელი**
ქალაქი ზაჰესი № 8 გვ. 13

**კ.**
ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა № 8 გვ. 22

**კ. ლეო**
ბორჯომის ხეობაში „პიონერი“ № 3 გვ. „10
ჩვენი უახლოესი მეზობელი პლანეტა მარსი „პიონ“ № 4 გვ. 21
როგორ არის მოწყობილი ქვეყნიერება „პიონერი“ № 5 გვ. 16.
სიცოცხლის წარმოშობა დედამიწაზე—„პიონერი“ № 6 გვ. 18

**ლ. კ—ი**
ჩრდილო პოლიუსზე გადაფრენა—წ. ს. № 5 გვ. 27

**X**
რა არის კოოპერაცია და რისთვის არის იგი საჭირო—№ 8 გვ. 25

**გ. შმერლინგი**
ნანგრევებსა და დახოცილთ შორის-„პიონერი“ № 4, გვ. 15

# VII. პიესები

**თ. ბ-ისა**
სამი სტერლინგი (თარგმანი) № 1, გვ. 5

**ს. ერთაწმინდელი**
რემედას—№ 3, გვ. 15

**ს. კრემნევი**
ნორჩი რევოლუციონერები (თარგმ.) № 4, გვ. 12

**გ. ყორჩიბაში**
წითელი რაინდი—№ 5, გვ. 16

# VIII. სიმღერები

**თ. შავერზაშვილი**
თამაშობა—№ 3, გვ. 32

**შ. თაქთაქიშვილი**
მწვანე მინდორი—№ 7, ყდაზე.

# IX. მეცნიერება და ტეხნიკა

**მ. ა-ძე**
მარტივი ფეხსაცმელები (თარგმ.) № 2, გვ. 33

**დ. კარბელი**
საქარის წარსული—№ 6, გვ. 32

**ლ. კ—ი.**
უკანასკნელი მიღწევები ყრუ-მუნჯთათვის ტეხნიკური დახმარების საქმეში—№ 7, გვ. 30

**X**
როგორ უნდა გავაკეთოთ შხეფი № 7 გვ. 32
საჰაერო გზა ოკეანეზე, საოცარი გვირაბი ქალაქში, მარადიულ სიბნელეში — № 8, გვ. 28, 30,
ფოტოგრაფიის გამოგონება,—№ 9, გვ. 26
ყველაზე უდიდესი ხის მილი ქვეყნიერებაზე № 9 გვ. 29
ფოტოგრაფია—„პიონერი“ № 1, გვ. 22

**X**
ქუჩების განათების ისტორია—„პიონერი“, № 1, გვ. 23
პოლიუსებზე გადასაფრენი აეროპლანები—№ 2, გვ. 24

**ლეო**
ბურთან ბრძოლა, ქარი, როგორც ელექტროს წყარო, მზის ლაქები და დედამიწა — „პიონერი“ №, 3, გვ. 25

**ვ. მა-ნი**
სარწმუნოება და მეცნიერება-„პიონერი“, № 5, გვ. 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

## X. ბავშთა შემოქმედება

პატარას-ლექსი—ნ. ცხაკაია № 8, გვ. 27
ზაფხულია—ლექსი—ნ. ცხაკაია № 8 გვ. 27
პიონერთა ამოძახილი (ლექსი) გ. მარუაშვილი № 9 27
ჩვენი სიმღერა-ლექსი-ნ. ნემსაძე.№ 9 გვ. 27
წითელარმიელის სიმღერა-ლექსი—დ. გველესიანი. № 9, გვ. 27
სალამი წითელ არწივებს—გ. ცქვიტინიძე, № 9, გვ. 27
პიონერი-მოთხრობა—ნ. ცხაკაია № 9, გვ. 28
რევოლუცია-ლექსი — შ. ჩიტაძე — „პიონერი“ № 1 გვ. 24
დილა-ლექსი—მ. მარგველაშვილი-„პიონერი“ № 1 გვ. 24
ქარხნის გუგუნი (ლექსი)-შ. ბერიკაშვილი-„პიონერი“ № 1, გვ. 24
ლენინის სურათთან (ლექსი) — რ. გაბიჩვაძე, № 3, გვ. 21
შვიდ ნოემბერს (ლექსი) შ. ჩხიკვაძე—№ 3, გვ. 21
სალამო (ლექსი) — მ. მარგველაშვილი № 3 გვ. 21,
პიონერი (ლექსი) — შ. ფერიაშვილი № 3 გვ. 21
მუშათა კლასს (ლექსი)-ა. ქვარიანი № 3 გვ. 21
როგორ გახდა ვანო პიონერი (მოთხრ.)—გ. ბასილაია № 4 გვ. 24
პიონერი (ლექსი)-გ. შატბერაშვილი № 5 გვ. 22
პიონერები (ლექსი) ვ. ტუღუში № 3 გვ. 24
მოწოდება (ლექსი)—გ. მებუკე № 3 გვ. 24
პიონერები (ლექსი)—გ. მებუკე № 3 გვ. 4
პიონერი (ლექსი)-ვ. დუნიაშვილი № 5 გვ. 23
ზამთარი (ლექსი)—ა. მახარაძე № 5 გვ. 23
ზღვა ბობოქრობს (ლექსი)-მ. ცქვიტინიძე
ქარხანა (ლექსი) გ. მომავლიშვილი № 6 გვ. 23
შრომის ზეიმი (ლექსი)—კლ ელ № 6 გვ. 23

## XI. გასართობი

**ნ—ი**
როგორ გვატყუებს თვალი (თარგმანი) № 1 გვ. 32
**მ. გორგაძე**
თამაშობა—„პიონერი“ № 6—ყდაზე
**ნ. ძიძიგური**
ოთხკუთხედების ამოცანა № 2 გვ. 32
გეომეტრიულ-ლიტერატურული ამოცანა № 3 გვ. 30
ამოცანა რომბებზე № 4 გვ. 32
როგორ უნდა გამოიცნოთ სხვისი დაბ. დღე № 2. ყდაზე
ლიტ.-გეომეტრ. ამოცანა—წ. ს. № 5 გვ. 36
ჯადოსნური კვადრატი წ. ს. № 5 32
**ჯანიკო**
რებუსი—„პიონერი“ № 5—ყდაზე
**გ. რობიტაშვილი**
შარადა წ. ს. № 5 გვ. 32
**კარბელი**
როგორ გაიყვანეს ჩინელებმა რკინის გზა № 3 გვ. 31
შარადა № 3 გვ. 31
ვინ მოტყუვდა № 3 გვ. 31
გემი და მცურავი კაცი მთვარეზე № 4 გვ. 32
თამაში 32-ით № 4 გვ. 32
სიტყვების ამოცანა № 8 ყდაზე
„ „ № 8 ყდაზე
შარადა № 8 ყდაზე
შარადა „ № 8 ყდაზე
შარადა № 9 გვ. 32
შარადა „პიონერი“ № 1 ყდაზე
**დ. ელიოზიშვილი**
რებუსი № 4 ყდაზე
**ბეგიაშვილი**
რებუსი „პიონერი“ № 3 ყდაზე
**ენრიკო**
ორი ხშა (გამოცანა) „პიონერი“ № 6 გვ. 24
**X-სა**
**თამაშობანი:** დარაჯნი და ყაჩაღები, ამანათრბენი, ნივთის დამალვა, იმოქმედე მუსიკის დროს № 8 გვ. 31
წითლები და თეთრები
პიონერები და უპატრონო ბავშები } თამაშობანი № 9 გვ. 32
ამოცანა ოთხკუთხედებზე № 9 გვ 32.
ბურჟუაზიულ ციხეში
შუაღამე } თამაშობანი „პიონერი № 3 ყდაზე
ფაბრიკანტები და მუშები-„პიონერი“ № 3 გვ. 24
გასართობი კვადრატებზე „ „
გასართობი ასოებით „ „
მოხეტიალე ბურჟუა, კაპიტალისტების ბუკალებში, იყავ მზად—№ 4 ყდაზე.
თამაშობანი: ზარმაცი მწყემსი, ქანდაკებანი „პიონერი“ № 5, გვ. 24
რებუსი № 6, გვ. 24
გამოცანა „ „
დააკვირდით, „ „
რომელი გზა აურჩევია სერგოს? „
კვერცხები ჯამზე „ „
ვისი სურათია?

# რებუსი

(წარმოდგენილი ჯანიკოსაგან)

| როდის იყო სისხლიანი კვირა | ავდრის წინა-ალმდეგი ' |  | ,, კომუნა ' | დედიჩემის ქალიშვილი რაა ჩემი? |

 ' ,  ,,   "

| მოწაფეების სამყოფი ოთახი გაკვეთილის დროს | დიდი ქალაქი ევროპა-ში, სადაც ფაშისტების მთავრობა ცხოვრობს " |  ' | ,  " |

მ  " ი პ ლ ,   '  ს

 ს ჟ ფ ,,  ' | 100 ' |  "

გ , | ქალის სახელი | მეგრელი ვაჟის სა-ხელი ' | 100 '

1927 წ. **მიიღება ხელის მოწერა** 1927 წ.

# გაზეთ

# „ახალგაზრდა კომუნისტზე“

## საქართველოს კომკავშირის ცეკას და ტფილისის კომიტეტების ორგანო

**„ახალგაზრდა კომუნისტი“** ყოველ ნომერში ფართე ადგილს უთმობს საერთაშორისო და საკავშირო ინფორმაციას და განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდათა მოძრაობას საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ.

**„ახალგაზრდა კომუნისტი“** ვრცლად აშუქებს მუშების, გლეხების და მოჯამაგირეთა ყოფა-ცხოვრებას და აგრეთვე სისტემატიურად აწვდის გლეხობას და მოჯამაგირეებს ცნობებს საბჭოთა, პარტიულ, პროფესიონალურ და კულტურულ-საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ.

**„ახალგაზრდა კომუნისტი“** ყოველ ნომერში ათავსებს წერილებს პიონერთა მოძრაობაზე და არკვევს სხვადასხვა საკითხებს წითელ ჯარის მშენებლობის დარგში.

**„ახალგაზრდა კომუნისტი“** ათავსებს კომკავშირულ მწერალთა ლექსებს და მოთხრობებს და ხელს უწყობს კომკავშირული შემოქმედების განვითარებას.

**„ახალგაზრდა კომუნისტი“** დიდ დახმარებას უწევს ახალგაზრდობას ლენინური აღზრდისა და სწავლების საქმეში.

**„ახალგაზრდა კომუნისტი“** ფართო ადგილს უთმობს ფიზკულტურის, სპორტის, მეცნიერება და ტეხნიკის, ბიბლიოგრაფიის, ხელოვნების, კინოს, სასამართლოს და სხვა განყოფილებებს.

**„ახალგაზრდა კომუნისტი“** საჭიროა თვითეული კომკავშირელისა და ყოველი ახალგაზრდა მუშისა და გლეხისათვის.

**„ახალგაზრდა კომუნისტზე“** მიიღება ხელის მოწერა მთავარ კანტორაში (ტფილისი, კურსანტების ქ. № 1), ბეჭდვითი სიტყვის ორგანიზატორებთან და საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის ყველა განყოფილებებში.

**ხელის მოწერის პირობები:** 1 თვით—30 კაპ.
3 „ —90 კაპ.
1 წლით—3 მან. 60 კაპ.

ტფილისი—24/I—27. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხ. პრ. № 91.
მთავარლიტი № 109 შეკვ. № 3584/534 ტირაჟი 2000.